საპარლამენტო უმრავლესობა – ეს ქართველი ხალხის გამარჯვება, სიმშვიდე და კეთილდღეობაა!

საქართველოს რესპუბლიკა

www.sakresp.ge



იმისთანა ჩმინდა საქმეში, რიგორიც ბეჭდვეჩი სიცყვაა, ცყეიღებით და ჭირებით ბეჭთის გაცანა ყველა უკადრისობაზე უსამაგღესია.

სამშაბათი, 1 ნოემბერი. 2016 წ. №203 (8095), გამოცემის 98-ე წელი | ელ.ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@top.ge | ფასი 50 თეთრი.

რატომ მიდიან ლიდერები პოლიტიკიდან? 5

3 ივანიშვილის სიდინჯემ სააკაშვილი და ნათელაშვილი სულ გადარია!

ანტიქართველო ნაციონალებო,

თქვენგან „უნიათოდ“ და „უუნაროდ“ მონათლული მეტოქე სამარცხვინოდ რომ დაგამარცხებთ, თქვენ თვითონ რა გამოდიხართ? – მიწასთან გასწორებულნი!

ასე რომ, ქართველი ხალხის აზრით, ხმა აღარ ამოგეღებათ!..



საქართველოში ბიზნესის წარმოება კიდევ უფრო გამარტივდა 8

პოლიტიკური ელიტის იმ ნაწილს დევნიან, რომელიც 20 წლის განმავლობაში პარპაშებდა 4



7 2015 წელს საწარმოო ტრავმებმა 123 სიცოცხლე შეიწირა

„ქართული ოცნების“ საარჩევნო პროგრამიდან

„ქართული ოცნების“ ხედვით, ქვეყნის ეკონომიკური განვითარება უნდა ეფუძნებოდეს თავისუფალი ბაზრის პრინციპებს, რომელიც კერძო სექტორის გაძლიერების წინაპირობაა. ჩვენი ეკონომიკური პოლიტიკა, ერთი მხრივ, მიმართული იქნება კერძო სექტორის შემდგომი განვითარებისკენ და კერძო სექტორში არსებული პრობლემების გადაჭრისკენ, რაც ხელს შეუწყობს ქვეყანაში ხელსაყრელი და საიმედო ბიზნესგარემოს ჩამოყალიბებას, ხოლო, მეორე მხრივ, ქვეყნის ეკონომიკური განვითარების სასურველი დონის მიღწევამდე, უზრუნველყოფს მოსახლეობის იმ ფენების მხარდაჭერას, რომლებიც ამას ყველაზე მეტად საჭიროებენ.

„ქართული ოცნების“ ეკონომიკური პოლიტიკის ერთ-ერთი მთავარი ორიენტირი მოსახლეობის დასაძმებაა.

ხალხის ხმა პარლამენტში

აი, ვინ უნდა აგვიხდინოს ქართული ოცნება

საქართველოს პარლამენტის 2016 წლის 8 ოქტომბრის მაჟორიტარული საარჩევნო სისტემით ჩატარებული არჩევნების პირველი ტურის შედეგების მიხედვით, კანონმდებლობით განსაზღვრული 50%-იანი ბარიერი 23-მა კანდიდატმა გადალახა. ყველა მათგანი წარდგენილი იყო „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს“ მიერ:

ზაზა ხუციშვილი
№3 მაჟორიტარული საარჩევნო ოლქი. თბ/ვაკე

მამუკა მდინარაძე
№4 მაჟორიტარული საარჩევნო ოლქი. თბ/საბურთალო

ნინო გოგუაძე
№5 მაჟორიტარული საარჩევნო ოლქი. თბ/საბურთალო

ილია II საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი – მინდა, მოგილოცოთ მშვიდობით ჩატარებული არჩევნები. ესეც ნიშანია, რომ იზრდება სიყვარული საქართველოში. ეს გამარჯვება ერთი პარტიისა კი არ იყო, მთელი საქართველოს გამარჯვებაა.

ბიძინა ივანიშვილი – „კარგი არჩევანი გავაკეთე. არ შეიძლება, მგონი გვარის თქმა. რა თქმა უნდა ხმა მივეცი საქართველოს სწორ მომავალს, რომ ჩვენი ქვეყანა სწორი მიმართულებით განვითარდეს. ამ მხრივ გავაკეთე არჩევანი.

გიორგი კვირიკაშვილი, პრემიერ-მინისტრი – ჩვენ ძალიან მნიშვნელოვან პერიოდში ვიმყოფებით. ეს საპარლამენტო არჩევნები იქცა ჩვენი მდგრადი დემოკრატიის ტესტად.

გიორგი მარგველაშვილი:
მრავალპარტიული პარლამენტი არ შედგა, ეს იყო საზოგადოების დაკვეთა

საქართველოს პრეზიდენტი გიორგი მარგველაშვილი ქართველ საზოგადოებას არჩევნების 2016 წლის საპარლამენტო არჩევნების ჩატარებას ულოცავს.

„საქართველოში შედგა 2016 წლის საპარლამენტო არჩევნები. პირველ რიგში, მინდა მადლობა ვუთხრა ქართველ საზოგადოებას, რომელის აქტიურობის შედეგადაც ქართული დემოკრატიის ეს მნიშვნელოვანი ნაბიჯი იქნა გადადგმული. მინდა აღვნიშნო საერთშორისო და ადგილობრივი სადამკვირვებლო მისიების როლი. თქვენი მოღვაწეობის შედეგად ჩვენ აღმოვაჩინეთ ხარვეზები, რომელთა აღმოფხვრაც და გათვალისწინებაც ძალიან მნიშვნელოვანია მზარდი ქართული დემოკრატიისათვის“, – განაცხადა გიორგი მარგველაშვილმა.

მისივე თქმით, მრავალპარტიული პარლამენტი არ შედგა და გარკვეულწილად ეს იყო საზოგადოების დაკვეთა.

„მინდა შევახსენო საზოგადოებას, რომ პოლიტიკური მოღვაწეობა არჩევნებით კი არ მთავრდება არამედ იწყება. შესაბამისად მოგიწოდებთ, ყველას აქტიურები იყოთ ჩართულები დისკუსიებში, ხელისუფლების კონტროლში და აქტიურ პოლიტიკურ დიალოგში. კიდევ ერთხელ გილოცავთ 2016 წლის არჩევნების წარმატებას“, – განაცხადა გიორგი მარგველაშვილმა.

* * *

პრეზიდენტი გიორგი მარგველაშვილი **„ქართულ ოცნებას“, „ნაციონალურ მოძრაობასა“** და **„პატრიოტთა ალიანსს“** პარლამენტში მოხვედრას ულოცავს და წარმატებულ მოღვაწეობას უსურვებს.

საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე ირაკლი კობახიძე გახდება

საქართველოს **პარლამენტის თავმჯდომარის თანამდებობას ირაკლი კობახიძე დაიკავებს. ამის შესახებ „ჯი-ეიჩ-ენის“ მიერ რამდენიმე დღის წინ გავრცელებულ ინფორმაციას ამჯერად, „ქართული ოცნების“ კულუარებშიც ადასტურებენ. წყაროს ინფორმაციით, პოლიტიკური გადაწყვეტილება უკვე მიღებულია.**

არჩევნების მეორე ტურის წინასწარი მონაცემებით, „ქართულმა ოცნებამ“ პარლამენტში საკონსტიტუციო უმრავლესობა მოიპოვა. შესაბამისად, ირაკლი კობახიძის პარლამენტის თავმჯდომარეობასთან დაკავშირებით პოლიტიკურ სპექტრში გამოთქმული კრიტიკის მიუხედავად, მმართველ გუნდს აღნიშნული გადაწყვეტილების მიღება არ გაუჭირდება.

პარლამენტის თავმჯდომარის კანდიდატურას საპარლამენტო უმრავლესობა წარადგენს. მის ასარჩევად კი, 76 დეპუტატის ხმაა საჭირო. „ქართული ოცნება“ პირველივე სხდომაზე თავმჯდომარეობის კანდიდატად სწორედ ირაკლი კობახიძეს დაასახელებს.

საქართველოს პრემიერ-მინისტრს, ბატონ გიორგი კვირიკაშვილს

გილოცავთ საპარლამენტო არჩევნებში მოპოვებულ დამაჯერებელ გამარჯვებას და გისურვებთ შემდგომ წარმატებებს ჩვენი ქვეყნის საკეთილდღეოდ.

მინდა, მჯეროდეს, რომ საქართველოს გადარჩენის უამრავ პრობლემათა შორის, პრიორიტეტად გაიხდით: ქართული ენის მოვლა-პატრონობას; საქართველოს დემოგრაფიის წინაშე მდგომ პრობლემებზე ზრუნვას; საარჩევნო სისტემის რადიკალური ცვლილების აუცილებლობას; საქართველოს კონსტიტუციით დადგენილი ჩვენი ქვეყნის სახელწოდების – „საქართველოს“ დამკვიდრებას საერთაშორისო დონეზე.

პატივისცემით
საქართველოს მოქალაქე
ანზორ ბაბუხადია

აჭარის უმაღლეს საბჭოში „ქართულ ოცნებას“ უმრავლესობა აქვს!

უსკოს მონაცემებით, აჭარის ექვსივე მაჟორიტარულ ოლქში „ქართული ოცნების“ კანდიდატებმა გაიმარჯვეს. შესაბამისად, პროპორციულ არჩევნებში მოპოვებული 8 მანდატითა და მაჟორიტარული სისტემით მოპოვებული 6 მანდატით 21-წევრიან უმაღლეს საბჭოში ქართული ოცნება 14 დეპუტატს შეიყვანს.

არჩევნების მეორე ტურში მონაწილეობა 114 470 ამომრჩეველმა მიიღო, რაც საერთო რაოდენობის 37.09%-ია. გაბათილდა 2 614 ბიულეტენი.

რაც შეეხება კონკრეტულად აჭარის მაჟორიტარულ ოლქებს:

ბათუმის №68 მაჟორიტარულ ოლქში „ქართული ოცნების“ კანდიდატმა ვახტანგ წულაძემ ხმების 66.63% მოიპოვა, ხოლო ნაციონალური მოძრაობის კანდიდატმა ელგუჯა ბაგრატიონმა 33.27%.

ბათუმის №69 მაჟორიტარულ ოლქში „ქართული ოცნების“ კანდიდატმა ილია ვერძაძემ ხმათა 69.87% მიიღო, ხოლო ნაციონალური მოძრაობის კანდიდატმა ნინო ჯინჭარაძემ – 30.13%.

ბათუმის №70 მაჟორიტარულ ოლქში „ქართული ოცნების“ კანდიდატმა და სიის პირველმა ნომერმა ნუგზარ სურმანიძემ ხმათა 71.21 % მიიღო, ხოლო ნაციონალური მოძრაობის კანდიდატმა გია აბულაძემ 28.79%.

ქობულეთის №71 მაჟორიტარულ ოლქში „ქართული ოცნების“ კანდიდატს გიორგი რომანაძეს ხმათა 71.51% ერგო, ხოლო ნაციონალური მოძრაობის კანდიდატს მამული სურმანიძეს - 28.49%.

ხელვაჩაურის №72 მაჟორიტარულ ოლქში „ქართული ოცნების“ კანდიდატმა მერაბ კარანაძემ ხმების 72.19% მიიღო, ნაციონალური მოძრაობის კანდიდატმა ქენან კახიძემ კი – 27.81%.

ხულოს №73 ოლქში „ქართული ოცნების“ კანდიდატმა ხვიჩა შარაშიძემ ხმათა 71.44% მიიღო, ხოლო ნაციონალური მოძრაობის კანდიდატს ნუგზარ ამაღლობელს 28.56% ერგო.

აჭარის უმაღლესი საბჭოს არჩევნები საქართველოს პარლამენტის არჩევნების პარალელურად ჩატარდა. აჭარის უმაღლესი საბჭო მრავალპარტიული იქნება. „ქართულ ოცნებას“ 14 დეპუტატი, ნაციონალურ მოძრაობას 5 დეპუტატი, ხოლო ნინო ბურჯანაძე – დემოკრატიულ მოძრაობასა და „პატრიოტთა ალიანსს“ თითო-თითო დეპუტატი.

აჭარის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის თანამდებობას ნუგზარ სურმანიძე დაიკავებს

გავრცელებული ინფორმაციით, აჭარის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის თანამდებობას „ქართული ოცნების“ სიის პირველი ნომერი ნუგზარ სურმანიძე დაიკავებს, რომელიც აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანდაცვის მინისტრი იყო.

ჯერჯერობით უცნობია, შევა თუ არა უმაღლეს საბჭოში „ნაციონალური მოძრაობა“. პარტიის ლიდერების განცხადებით, გადაწყვეტილება მას შემდეგ გახდება ცნობილი, რაც ოფიციალური შედეგები გამოქვეყნდება.

ბიორგი მარგველაშვილი: საქართველოს პრეზიდენტი. — პირველ რიგში, მინდა მადლობა ვუთხრა ქართველ საზოგადოებას, რომლის აქტიურობის შედეგად ქართული დემოკრატიის ეს მნიშვნელოვანი ნაბიჯი იქნა გადადგმული.

ნუგზარ (ოტია) სარჩიმელია, თადარიგის პოლკოვნიკი, პოლიციისა და სამხედრო ძალების ომის ვეტერანი. — მე ხმა მივეცი მშვიდობას და საქართველოს ერთიანობას. ხმა მივეცი ჩვენს მომავალს.

ელენე კოდუა: მთარგმნელი, მწერალი (94 წლის) — წლეულს, ოქტომბერში უკვე მეორედ ვიყავი არჩევნებზე. ვის მივეცი ხმა? საქართველოსთვის ვისაც სიკეთე უნდა. მიხვდებით ალბათ, ვისაც...

ხალხის ხმა პარლამენტში

აი, ვინ უნდა აგვიხდინოს ქართული ოცნება

ბიორგი ვოლსკი
№14 მაჟორიტარული
საარჩევნო ოლქი. თბ/ჩულურეთი

ირაკლი შიოლაშვილი
№25 მაჟორიტარული
საარჩევნო ოლქი. სიღნაღი

სავალან მირზოევი
№31 მაჟორიტარული
საარჩევნო ოლქი. ბარდაბანი

გოდერძი ჩაქსელიანი
№32 მაჟორიტარული
საარჩევნო ოლქი. თეთრიწყარო

ბიორგი კვირიკაშვილი:

თქვენ ხმა მიეცით საკუთარ კეთილდღეობას!

„ქართული ოცნებისთვის“ საკონსტიტუციო უმრავლესობა ნიშნავს კიდევ უფრო მეტ პასუხისმგებლობას ჩვენი ხალხის წინაშე. რაც მეტია ხალხის ნდობა, მით უფრო მომთხოვნია საზოგადოება ხელისუფლების მიმართ, — ამის შესახებ საქართველოს პრემიერ-მინისტრმა გიორგი კვირიკაშვილმა გუშინ „ქართული ოცნების“ ოფისში გამართულ ბრიფინგზე განაცხადა.

საქართველოს პრემიერ-მინისტრმა საზოგადოებას საპარლამენტო არჩევნების წარმატებით დასრულება მიულოცა და აღნიშნა, რომ დღეს საქართველოში დემოკრატიამ გაიმარჯვა, რაც არის ქართველი ხალხის, ქართული სახელმწიფოს გამარჯვება.

„მინდა, ყველას მოგილოცოთ საპარლამენტო არჩევნების წარმატებით დასრულება. დღეს ჩვენს ქვეყანაში გაიმარჯვა დემოკრატიამ. ეს არის ქართველი ხალხის, ქართული სახელმწიფოს გამარჯვება. ჩვენმა ქვეყანამ კიდევ ერთი ნაბიჯი გადადგა წინ, უკეთესი მომავლისკენ, განვითარებისა და კეთილდღეობისკენ. ყველა შეფასებით, 2016 წლის საპარლამენტო არჩევნები იყო სამართლიანი, თავისუფალი, გამჭვირვალე და დემოკრატიული. დიდი მადლობა იმ მაღალი ნდობისთვის, რომელიც ჩვენს პოლიტიკურ გუნდს გამოუცხადეთ. ეს პირადად ჩემთვის და „ქართული ოცნების“ ყველა წევრისთვის უდიდესი პასუხისმგებლობაა - მე მჯერა, რომ ჩვენ ღირსეულად გავართმევთ თავს ამ მოვალეობებს და ქვეყანას განვითარების სრულიად ახალ ეტაპზე გადავიყვანთ. „ქართული ოცნების“ მხარდაჭერით, თქვენ ხმა მიეცით თავისუფლებას, სტაბილურობას, ჩვენი ქვეყნის სწრაფ განვითარებას და ჩვენი ქვეყნის ევროპულ მომავალს. ამ არჩევანის პოზიტიური შედეგები აუცილებლად აისახება ყოველი თქვენგანის ცხოვრების პირობების გაუმჯობესებაზე. მადლობას გიხდით ყველას ასეთი ერთსულოვნებისთვის.

ჩვენ გვაქვს ძალიან დიდი და ამბიციური გეგმები, რომელიც განათლების სისტემის არსებით გაუმჯობესებაზე, ქვეყნის სწრაფ ეკონომიკურ და ინფრასტრუქტურულ განვითარებაზე, თითოეული მოქალაქის კეთილდღეობაზეა ორიენტირებული; დიახ, დღეიდან იწყება აღმშენებლობის სრულიად ახალი ეტაპი საქართველოში და ჩვენ მზად ვართ, ქვეყნის წინსვლისთვის გადამწყვეტი ნაბიჯები გადავდგათ. კიდევ ერთხელ გილოცავთ ყველას დემოკრატიის ტესტის ჩაბარებას და ჩვენი ხალხისა და ჩვენი ქვეყნის გამარჯვებას“, — აღნიშნა პრემიერ-მინისტრმა.

◎ გუშინდელი ფოსტიდან

სხვა თუ არაფერი, სირცხვილია!

ჩვენს გაზეთს დიდი ხნის მანძილზე უამრავი ერთგული მკითხველი და ქომაგი ჰყავს, რასაც მათთან გამუდმებული კონტაქტი, ყოველდღიური სატელეფონო ზარი თუ ელექტრონული გზანავილი მოწმობს. ასე იყო 31 ოქტომბერსაც, როცა რედაქცია მოსულებს ჩვენი მარნეულელი მკითხველის სელიმ მამედოვის მიერ გამოგზავნილი ელექტრონული ბარათი დაგვხვდა, რომელსაც მცირედი სარედაქციო სწორებით გთავაზობთ.

„გუშინ მარნეულში არჩევნების მეორე ტური გაიმართა, ხალხმა, მართალია, ისე არ იაქტიურა, როგორც 8 ოქტომბერს, მაგრამ ხმის მისაცემად მაინც ბევრი ამომრჩეველი მივიდა. მათ შორის, ცხადია, მეც ვიყავი ოჯახის რამდენიმე წევრთან ერთად, მერე კი ტელევიზორით ახალ ამბებს ვუყურებდი, მაინტერესებდა, რას ამბობდნენ ჩვენს შესახებ. სრული პასუხისმგებლობით ვამბობ, რომ მარნეულში მთელი დღის განმავლობაში სიმშვიდე იყო, ხალხი წყნარად იქცეოდა და საარჩევნო უბანზე კომისიის წევრებიც. ერთადერთი, ვინც, რომ იტყვიან, „ჭიქაში ქარიშხლის“ მოწყობას ცდილობდა, ნაციონალური მოძრაობის დამკვირვებელი ნანა მინასიანი, კიდევ ამ პარტიის ერთ-ერთი ლიდერი გიგა ბოკერია და მისი ხალხი იყვნენ. ამას ტელევიზორშიც იმეორებდნენ, ოღონდ... მარტო „რუსთავი-2“, დანარჩენი არხები პროცესს ისე აჩვენებდნენ, როგორც ნამდვილად იყო.

უბრალოდ, სირცხვილია იმაზე ლაპარაკი, რომ „ქართულმა ოცნებამ“ არჩევნები გააყალბა და იმიტომ მოიგო. რატომ არ ესმით ნაციონალებს, რომ მათი ცხრაწლიანი ბანდიტობა ხალხს ყელში ამოუვიდა და იმიტომ წააგეს? ასე მოქცევა, როგორც ისინი იქცევიან, უბრალოდ, სირცხვილია, მაგრამ, როგორც ვხედავთ, მაგათ არაფრის რცხვენიათ.

პატივისცემით,
სელიმ მამედოვი.
მარნეული

ივანიშვილის სიდინჯემ სააკაშვილი და ნათელაშვილი სულ გადარია!

ოდესის ოლქის გუბერნატორი, საქართველოს ყოფილი პრეზიდენტი თანამოაზრეებს გაერთიანებისა და ბრძოლის დაწყებისკენ მოუწოდებს.

„მეორე ტური ჩატარდა ზუსტად ისე, როგორც ვვარაუდობდი და ყველას ვაფრთხილებდი — ტოტალური გაყალბებით. უცხოელი დამკვირვებლების არყოფნის პირობებში, ივანიშვილმა ფული აღარ დახარჯა „კარუსელების“ ტრიალზეც კი და უმეტეს ადგილას უბრალოდ დახატა ციფრები. ასეთი თავხედური და მასშტაბური გაყალბება შევარდნაძეს არც დასიზმრებია. კიდევ ერთხელ მადლობა უნდა ვუთხრათ ყველა ჩვენ აქტივისტს და იმ ამომრჩეველს, რომელიც მოვიდა და მხარი დაგვიჭირა არჩევნებზე. ჩვენ უნდა გავმართოთ ღია დისკუსია არა იმაზე, თუ როგორ „წავაგეთ“ არჩევნები, არამედ იმაზე, თუ როგორ ვერ აღვუდექით წინ ივანიშვილის მიერ არჩევნების ინსტიტუტის გაუქმებას.

მე ხელისუფლება მშვიდობიანად გადავაბარე 2012 წელს, გადავაბარე ადამიანს, რომელიც თავიდანვე ნათელი იყო, რომ არჩევნებით წასვლას არ აპირებს. და მაინც გადავაბარე, იმიტომ რომ ასეთი იყო ქართველი ხალხის ნება. ივანიშვილს მაინც მოუხდება წასვლა, რადგან, ასეთი იქნება ქართველი ხალხის ნება. ჩვენი, როგორც პოლიტიკოსების ფუნქციაა, ხელი შევუწყოთ ჩვენი ხალხის ნების აღსრულებას მშვიდობიანი და საქართველოსთვის მინიმალური დანაკარგების გზით.

2003 წელს, ჩვენ ვემზადებოდით ხელისუფლების მიერ მასობრივი გაყალბებისთვის და ამიტომ შევძელით მობილიზება, ახლა კარგად უნდა გავაცნობიეროთ, რომ ივანიშვილის პირობებში ყველა შემდგომი არჩევნები გაყალბდება და გამოსავალი არა ხელების ჩამოშვება, არამედ ამ გაყალბებებზე რეაგირება და აფერისტულ-დანაშაულებრივი რეჟიმის საპირისპიროდ ყოველდღიური წინააღმდეგობების ორგანიზებაა. გვეყო თავზე ნაცრის ყრა, ახლა გადაჯგუფება და აქტიური ბრძოლის დაწყებაა საჭირო“, — წერს ფეისბუქის საკუთარ გვერდზე სააკაშვილი.

* * *

„ლეიბორისტული პარტიის“ ლიდერი შალვა ნათელაშვილი მოუწოდებს ყველას, ვინც თავს ოპოზიციად თვლის, რომ უარი თქვან მანდატებზე. გუშინ გამართულ ბრიფინგზე მან ასევე განაცხადა, რომ პასუხისმგებლობა ამომრჩეველს ეკისრება.

„ოფიციალურად დაკანონდა რუსულ-მონგოლოიდური ტიპის ერთპიროვნული ოლიგარქიული რეჟიმი, რაშიც ორმაგი პასუხისმგებლობა ეკისრება ყველა ამომრჩეველს, ვინც შემოხაზა ივანიშვილის კრიმინალური სინდიკატი. წინ გველოდება ურთულესი ბრძოლის პერიოდი. მოვუწოდებ ყველას, ვინც თავს თვლის ნამდვილ ოპოზიციად, უარი თქვან მანდატებზე. ეს ავტომატურად დაშლის ამ რეჟიმს. მივმართავ მსოფლიო დემოკრატიულ საზოგადოებას, არ სცნოთ ძალაუფლების უზურპაცია, რომელიც განხორციელდა მასობრივი გაყალბებით, მოსყიდვით, დაშინებითა და სახელმწიფო რესურსების გამოყენებით“, — განაცხადა ნათელაშვილმა.

ხალხის ხმა პარლამენტში

აი, ვინ უნდა აგვისდინოს ქართული ოცნება

გოგი მეშველიანი
№33 მაჟორიტარული საარჩევნო ოლქი. **ბოლნისი**

კახაბერ ოქრიაშვილი
№34 მაჟორიტარული საარჩევნო ოლქი. **დმანისი**

რუსლან გაჯიევი
№35 მაჟორიტარული საარჩევნო ოლქი. **მარნეული**

ზაქარია ქუცნაშვილი
№38 მაჟორიტარული საარჩევნო ოლქი. **დუშეთი**

პოლიტიკური ელიტის იმ ნაწილს დევნიან, რომელიც 20 წლის განმავლობაში პარპაშებდა

„გამორიცხული არ არის პარლამენტში წარმოჩნდნენ ჯგუფები, რომლებიც შეიძლება, პარლამენტს გარეთ დაუკავშირდნენ სხვადასხვა ჯგუფებს“, — აცხადებს for.ge-სთან საუბრისას სოციოლოგი ვალერიან გორგილაძე, რომლის თქმითაც, საქართველო, როგორც მრავალპარტიული, შეიძლება შედგეს, მაგრამ მაქსიმუმ, რასაც დაიტევს ქართული პოლიტიკური ბაზარი, ეს არის სამი-ოთხი პოლიტიკური ორგანიზაცია. for.ge ვალერიან გორგილაძეს ესაუბრა.

— როგორ აფასებთ მეორე ტურის შედეგებს, რა თქვა ამით ამომრჩეველმა?

— მეორე ტური ხასიათდებოდა გარკვეული დაძაბულობით და ეს ბუნებრივიც არის, ვინაიდან „ნაციონალურ მოძრაობას“ გაუადვილდა თავისი რესურსების კონცენტრაცია დარჩენილ ოლქებში, თუმცა შედეგებზე ეს ვერ აისახებოდა და როგორც მოსალოდნელი იყო, „ქართულმა ოცნებამ“ დამაჯერებელი გამარჯვება მოიპოვა. საერთოდ, მეორე ტური, ცალკეული ინციდენტების მიუხედავად, შეიძლება შეფასდეს როგორც მშვიდობიანი და ობიექტური.

— ამის ფონზე, რამდენად სწორია შეფასება, რომ პოლიტიკურ პარტიას, რომელსაც არა აქვს 50%-ანი მხარდაჭერა, არ შეიძლება ჰქონდეს საკონსტიტუციო უმრავლესობა?

— ჩვენი პოლიტიკური სისტემის თავისებურება ისეთია, რომ ეს შესაძლებელია და ყველაზე კარგად ამის შესახებ ცნობილია „ნაციონალური მოძრაობისთვის“, რომელიც სწორედ, ამ სისტემის პირობებში ახერხებდა საკონსტიტუციო უმრავლესობის მოგროვებას. ობიექტურობისთვის ისიც უნდა ითქვას, რომ „ქართულმა ოცნებამ“ გაუმჯობესა ეს სისტემა, გახადა უფრო დემოკრატიული.

— ოპონენტების განცხადებით, გარდა იმისა, რომ საშიში ტენდენციაა ამ პოლიტიკური გუნდის ხელში საკონსტიტუციო უმრავლესობა, თვლიან, რომ ხელისუფლებას ეს სჭირდება იმისთვის, რომ შეცვალოს პრეზიდენტის არჩევის წესი. როგორ ფიქრობთ, ეს არის მმართველი გუნდისთვის მთავარი საკითხი?

— ვერანაირად ვერ იქნება. ეს არ არის მთავარი საკითხი გუნდის პოლიტიკურ დღის წესრიგში. ცხადია, მართლაც არის დიდი შეუსაბამობა პრეზიდენტის რეალურ ძალაუფლებას, უფლებამოსილებებსა და ლეგიტიმაციას შორის, ანუ საყოველთაო არჩევნებით მოსახლეობა პირდაპირ ირჩევს პრაქტიკულად ნომინალურ პოლიტიკურ ფიგურას, რაც არ არის ადეკვატური მოცემულ სიტუაციასთან და ვითარებასთან. ეს ეწინააღმდეგება ყველა ევროპულ პრაქტიკას, სადაც ამ ტიპის პრეზიდენტს, როგორც წესი, ირჩევს პარლამენტი. ევროპაში სწორედ ამ ტიპის პრეზიდენტები არიან, ისინი სიმბოლურად წარმოადგენენ ქვეყანას და დროდადრო ერთვებიან კრიზისების დარეგულირებაში, მაგალითად, როდესაც ვერ ხდება კოალიციის ჩამოყალიბება პარლამენტში. ამდენად, ეს არის მესამე ხარისხის ამოცანა.

მთავარი ამოცანა არის და ამას იტყვის მეტ-ნაკლებად კომპეტენტური კონსტიტუციონალისტი, რომ საქართველოს კონსტიტუცია არათუ შესასწორებელი, არამედ ხელახლა არის მისაღები, რომელიც უპასუხებს გამოწვევებს, ახალ ამოცანებს და რომელიც მართლაც დააბალანსებს ურთიერთობებს სხვადასხვა შტოებს შორის, მათ შორის დახვეწავს საარჩევნო სისტემას.

— თუ გადავხედავთ შეფასებებს, როგორც ოპოზიცია, ასევე სამოქალაქო სექტორი ღიად საუბრობს იმაზე, რომ საკონსტიტუციო უმრავლესობა პირდაპირ ნიშნავს ძალაუფლების უზურპაციას, მით უმეტეს ისეთი ქვეყნისთვის, როგორიც საქართველოა...

— სასაცილო ის არის, რომ ამაზე საუბრობს ის პოლიტიკური ძალა, რომელიც მართლაც ახდენდა ხელისუფლების უზურპაციას, რომელმაც შექმნა ეს მახინჯი კონსტიტუცია.

— პრინციპში, ხელისუფლების უზურპაციის გზა ქვეყანას გავლილი აქვს, იგივე სააკაშვილის მმართველობის პერიოდში...

— კი და არგუმენტი, რომ მე ვიყავი ასეთი უზურპატორი და მოდით, ნუღარ გავიმეორებთ ამ უზურპაციას, ჩემთვის არ არის ადეკვატური, ვინაიდან ჩემთვის

მთავარია ის, ვინ საუბრობს, ვის აქვს მორალური და პოლიტიკური უფლება ისაუბროს ამ ტიპის საფრთხეზე. საფრთხეს ვერ ვხედავ ერთი მარტივი მიზეზის გამო, „ქართული ოცნება“ არ წარმოადგენს მონოლითურ ორგანიზაციას, რაც უფრო მრავალრიცხოვანია ფრაქცია პარლამენტში, მით უფრო ექვემდებარება შემდგომში გარკვეულ დეფრაგმენტაციას.

— დაშლის პროცესი ემუქრება „ქართულ ოცნებას“?

— ეს პროცესი ემუქრება არა მხოლოდ „ქართულ ოცნებას“, არამედ ეს ემუქრება „ნაციონალურ მოძრაობას“. შესაძლებელია, გარკვეულ ეტაპზე ჩვენ ვიხილოთ კონსტიტუციის ცვლა, ეს არის ძალიან მნიშვნელოვანი პროექტი და ჩემი აზრით, ამ კონსტიტუციის შეცვლა უნდა ხდებოდეს სხვადასხვა პოლიტიკური ძალების და მათ შორის არასაპარლამენტო ძალების კონსენსუსის საფუძველზე, იმიტომ, რომ ეს არაა ერთი პარტიის კონსტიტუცია.

ამდენად, მე ვფიქრობ, რომ საწყის ეტაპზე მოხდება შეთანხმება და მიღება, შემდეგ ჩვენ შეგვიძლია ვიხილოთ სხვადასხვა ჯგუფები, რომლებმაც შეიძლება საინტერესო კონფიგურაციები შემოგვთავაზონ. სულაც არ ვამბობ იმას, რომ მაინცდამაინც უნდა მოხდეს ასეთი დაშლა, მაგრამ ჩვენ შეიძლება ვიხილოთ მართლაც მრავალფეროვანი განსხვავებული პოლიტიკური ინტერესების მქონე ძლიერი ჯგუფები. სწორედ, ამ ძლიერი ჯგუფების ხილვით შეიძლება დავინახოთ კონტურები უკვე მომავალი მრავალპარტიული პოლიტიკური სისტემის.

— ეს ჯგუფები შეიძლება პარლამენტის შიგნით ვიხილოთ?

— კი. პარლამენტში შიეძლება წარმოჩნდეს ჯგუფები, რომელებიც შეიძლება პარლამენტს გარეთ დაუკავშირდნენ სხვადასხვა ჯგუფებს. ვფიქრობ, რომ საქართველო როგორც მრავალპარტიული შეიძლება შედგეს, მაგრამ მაქსიმუმ რასაც დაიტევს ჩვენი პოლიტიკური ბაზარი, ეს არის სამი-ოთხი პოლიტიკური ორგანიზაცია.

— თუმცა, კეთდება შეფასება, რომ შესაძლოა, ვიწრო პოლიტიკურმა ინტერესებმა გადაწონოს სახელმწიფოებრივი ინტერესები. როგორ ფიქრობთ, საზოგადოებას რა მექანიზმი აქვს ამის შესაჩერებლად?

— ეჭვი მეპარება, რომ კოალიცია ვიწრო პარტიული ინტერესებისთვის გამოიყენებს ძალაუფლებას. ეს კოალიცია იმდენად ფართოა, რომ დიდად არ განსხვავდება იმ კოალიციისგან, რომელიც ხელისუფლებაში მოვიდა 2012 წელს. ვფიქრობ, რომ ეს შემადგენლობა ბევრად უფრო პასუხობს თანამედროვე ამოცანებს, ანუ ბევრად უფრო კვალიფიციური, კომპეტენტური და რელევატურია ამ ქვეყნის წინაშე მდგარი ამოცანების მიმართ და მაინც იმდენად რთული კონსტრუქციაა იმ თვალსაზრისით, რომ არის განსხვავებული ჯგუფები, ჩვენ დავინახავთ, რომ ამ განსხვავებულ ჯგუფებს ეყოლება თავისი ლიდერები.

არ მგონია, რომ მთელი ამ ოთხი წლის განმავლობაში, რომელიმე ერთმა ჯგუფმა მოახდინოს იმგვარი ზეწოლა, რომ დაიქვემდებაროს დანარჩენი ჯგუფები ვიწრო პოლიტიკური ამოცანის ირგვლივ.

ჰიპოთეტურად, თუკი რაღაცა საფრთხე შეიქმნება, რა თქმა უნდა, ეს უკვე დამოკიდებულია საზოგადოებაზე, რა ტიპის მექანიზმების შექმნას შეეცდება, რომ რაღაცნაირად დააბალანსოს ეს ჰიპოთეტური საფრთხე, რომელიც კიდევ ერთხელ მეჩვენება, რომ საფუძველს მოკლებულია.

— როგორ ფიქრობთ, შემცირდება სააკაშვილის გავლენა „ნაციონალურ მოძრაობაზე?

— ჩემი აზრით სააკაშვილის გავლენა ნაცმოძრაობაზე დღითი დღე სუსტდება. რამდენიმე დღის წინათ პარტიის ბირთვის წევრების მიერ სოციალურ ქსელში იყო მძაფრი საჯარო დისკუსია, შეტევები იყო სააკაშვილის მისამართით. ეს მეტყველებს იმაზე, რომ არსებული წინააღმდეგობები აშკარად იჩენს თავს და უახლოეს მომავალში უნდა ველოდოთ ასეთ გამძაფრებულ შეჯახებას ამ ორ ჯგუფს შორის.

— ორ ჯგუფს შორის შეჯახება აისახება „ნაციონალური მოძრაობის“ მდგრადობაზე?

— ეს აუცილებლად მიიღებს ღია სახეს, რომელიც აისახება „ნაციონალური მოძრაობის“ ფრაქციის მდგრადობაზე. შესაბამისად, ნაცმოძრაობის წიაღში შეიძლება ვიხილოთ ორი, ან სამი პოლიტიკური დაჯგუფება. ასე რომ, ამ თვალსაზრისით, მხოლოდ დინამიკა იქნება. პირველი ამოცანა ამ ჯგუფისთვის არის სააკაშვილის გავლენისგან განთავისუფლება, რაც ძალიან რთულია, ვინაიდან „ნაციონალური მოძრაობა“ არსებითად სააკაშვილის მიერ არის შექმნილი. თუმცა, ისტორიას ახსოვს პრეცედენტები, როდესაც დამფუძნებლებს ანთავისუფლებდნენ და აგდებდნენ პარტიიდან. გვაქვს საფრანგეთის სახალხო ფრონტის მაგალითი, პირდაპირ მოხდა ცვლილება შვილმა გამოაგდო მამა თავისი პარტიის რიგებიდან. იგივე შეიძლება მოხდეს სააკაშვილის შემთხვევაში.

— როგორც შევარდნაძის შემთხვევაში გააკეთა სააკაშვილმა?

— კი ბატონო. როდესაც ამ ე.წ. რეფორმატორებმა „მოქალაქეთა კავშირში“ შექმნეს თავისი ჯგუფი, ისარგებლეს ამ მოცემულობით, რესურსებით, დაგროვილი გამოცდილებით და შექმნეს პოლიტიკური ჯგუფი, რომელიც დომინირებდა 10 წლის განმავლობაში. რატომ არის სიმბოლური, როდესაც ბარამიძე მარცხდება თავის ოლქში? — იმიტომ, რომ გიორგი ბარამიძე 24 წლის განმავლობაში, ანუ საუკუნის მეოთხედი უცვლელად იყო პარლამენტის დეპუტატი. ამ თვალსაზრისითაც არის საინტერესო ეს პერიოდი, როდესაც პოლიტიკური ელიტის იმ ნაწილის განდევნა ხდება, რომელიც დომინირებდა 20 წლის განმავლობაში.

— საპარლამენტო არჩევნების წინ დაიწყო საუბარი პრეზიდენტის გარშემო ახალი პოლიტიკური პარტიის ფორმირებაზე. შესაძლებელია, რომ მარგველაშვილის სახით ქართულ პოლიტიკაში მესამე ძალა შემოვიდეს?

— თავისი პიროვნული თვისებების გამო არა მგონია, რომ მარგველაშვილი საზოგადოებას მოევლინოს როგორც ახალი პოლიტიკური ჯგუფის ლიდერი. ის ბუნებით არ არის ლიდერი და მით უფრო ასეთი პოლიტიკური ჯგუფების, რომლებიც მრავლად არიან. მათი უმრავლესობა საქართველოს პარლამენტს მიღმა იმიტომაც არის, რომ ვერ გადალახეს თავიანთი ამბიციები. ამ ამბიციების მქონე ლიდერებმა, პრინციპში უამბიციო მარგველაშვილს დაუთმონ პოლიტიკური ძალების გაერთიანების ინიციატივა, პირადად მეჩვენება, რომ არ არის ადეკვატური. თუმცა, რა თქმა უნდა, ის როგორც ერთ-ერთი ავტორი, შეეცდება, სხვებთან ერთად კვლავ შექმნას და მონაწილეობა მიიღოს მესამე პლატფორმის შექმნაში, რომელიც სამომავლოდ შეიძლება ვიხილოთ, როგორც „ნაციონალური მოძრაობის“ გარკვეული ალტერნატივა.

ესაუბრა
თამთა ქარჩავა

რატომ მიდიან ლიდერები პოლიტიკიდან?

8 ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნები საქართველოში ლამის „ისტორიის დასასრულად“ იქცეს. იაპონელ-ამერიკელი ფილოსოფოსი ფრენსის ფუკუიამა ახლა კი ამტკიცებს, „არასწორად გამიგეთ და პოლიტიკური ცხოვრების დასასრული“ სულაც არ მიგულისხმიაო, მაგრამ ჩვენც ხუმრობით მივბაძოთ და ვთქვათ, რომ არც ჩვენ ვგულისხმობთ ქართული ისტორიის დასასრულს მას შემდეგ, რაც ბიძინა ივანიშვილის „ქართულმა ოცნებამ“ ახალ პარლამენტში აბსოლუტური უმრავლესობა მოიპოვა და ჭორვილელი მილიარდერის, ასე ვთქვათ, „გულწრფელი“ განცხადებები „2030 წლამდე სულ მე ვიქნებიო“, უკვე აღარც ისეთი განუხორციელებელი ჩანს, როგორც ზოგიერთებს უნდოდათ ან ეჩვენებოდათ.

უფრო ზუსტად, ეჩვენებოდათ, რაკი ასე უნდოდათ.

ხოლო ეს „რაკი“ იმ მეორე „რაკი“-დან გამომდინარეობს, რომ თავი რასაკვირველია, „ამ ჭორვილელზე“ ბევრად ჭკვიანი ჰგონიათ. შესაძლოა, გენიოსი მართლა არ იყოს, მაგრამ დიდი აინშტაინი გვასწავლიდა, „ამქვეყნად ყველაფერი ფართობითია ღმერთის და სინათლის სისწრაფის გარდაო“; ამიტომ იმათ, ვისაც „რაკი“, — ეს მარტივი კითხვა აუცილებლად უნდა დავუსვათ 8 ოქტომბრის შემდეგ: თუ ასეთი ჭკვიანები ხართ, ხოლო „ის ჭორვილელი“ ასეთი უნიჭოა, მაშინ ასე სამარცხვინოდ რატომ წააგეთ? და, რაც მთავარია, რატომ ხდება ის, რაც რეალურად ხდება ამ არჩევნების შემდეგ?

* * *

ხდება კი ის, რომ ქართული პოლიტიკური სპექტრი უბრალოდ ინგრევა!

სანამ ყველაზე მნიშვნელოვანი მოვლენის (ანუ დავით უსუფაშვილის პოლიტიკიდან წასვლის) შესახებ ვიმსჯელებდეთ, „ზოგ-ზოგი სხვა წვრილმანნი“ უნდა გავიხსენოთ; მათ შორის „ნაციონალური მოძრაობის“ ბოლოდროინდელი პრაქტიკიდან.

ოღონდ, აქ მარტო ის სკანდალი კი არ არის საგულისხმო, როცა მიშამ მოუწოდა, არ შესულიყვნენ პარლამენტში, „ამათ“ არ დაუჯერეს, სანდრამაც უცნაური პაუზა აიღო და მხოლოდ მას შემდეგ გააკეთა განცხადება მეორე ტურში „არმონაწილეობის“ შესახებ, რაც პირველი ტურის დამატებითი კენჭისყრები წააგო და მიხვდა: კონკურენტს მეორე ტურში ვერაფრით აჯობებდა; კიდევ უფრო საინტერესოა სანდრაზე ბევრად უფრო ნიშანდობლივი ისტორიული (!) ფიგურის, მიხეილ მაჭავარიანის გადაწყვეტილება პოლიტიკიდან სამუდამოდ „განრიდების“ თაობაზე.

* * *

მიშა მაჭავარიანი მოდის იმ პროცესთა სათავეებიდან, რომელიც ედუარდ შევარდნაძის ინიციატივით დაიწყო 1994 წელს, როცა შევარდნაძემ პოლიტიკაში „მოიყვანა“ ზურაბ ჟვანია, ხოლო ზურაბ ჟვანიამ მასთან „მიიყვანა“ თავისი გუნდი - ჯერ მიშა მაჭავარიანი, მერე კი მიშა სააკაშვილი.

მას შემდეგ მიშა მაჭავარიანი არა უბრალოდ „გუნდის წევრი“, არამედ ძალიან მნიშვნელოვანი პოლიტიკური პერსონა, „გადაწყვეტილებების მიმღები“ და „საარჩევნო პოლიტტექნოლოგი“ იყო ხათუნა გოგორიშვილთან ერთად;

მის გარეშე ეს გუნდი თითქმის წარმოუდგენელია!

აი, სწორედ ამ (ასეთმა) ფიგურამ გააკეთა განცხადება „მოქალაქეთა კავშირის“ ახალგაზრდული ფრთის მემკვიდრე „ნაციონალური მოძრაობიდან“ და მთლიანად პოლიტიკიდან წასვლის შესახებ!

მაგრამ ეს კი არაა ყველაზე ნიშანდობლივი, არამედ ის, თუ როდის გააკეთა მან ეს განცხადება: არა მეორე ტურის შემდეგ, არამედ მეორე ტურამდე, როდესაც მისი ყოფილი გუნდისთვის ყოველ ხმას, ყოველ მოსულ და „არაგულგატეხილ“ ამომრჩეველს გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა.

კი მაგრამ, დაელოდე რა, სულ რამდენიმე დღე, — ჩაიაროს მეორე ტურმა და მერე გააკეთე განცხადება, მერე წადი „დამსახურებულ პენსიაზე“, — რატომ უფუჭებ საქმეს გუნდს, ისევე, როგორც სანდრამ „მიაყენა ზიანი“ - მათივე აღიარებით?

მაგრამ ამ ნიუანსით (განცხადების გაკეთების უცნაურად შერჩეული მომენტით) ჩანს, რომ ეს არა უბრალოდ გულაცრუება, არამედ, ისევ და ისევ, (საქართველოსთვის სწორედაც „ისევ და ისევ!“) „ჯინაზე მოქმედება“ და წყენის გამოვლინება იყო.

* * *

ახლა, რაც შეეხება ირაკლი ალასანიას. უკვე დადასტურებული ცნობებით, ის სამუდამოდ გაემგზავრა საქართველოდან. მისი ოჯახი დიდი ხანია, ამერიკაში ცხოვრობს. ამერიკის მოქალაქეები არიან და თვით ირაკლი ალასანიასაც, როგორც ამერიკის „სპეციალიზებულ ორგანიზაციათა“ დიდი ხნის და საიმედო პარტნიორს, აქვს შესანიშნავი შანსი, უპრობლემოდ მიიღოს (თუ უკვე არა აქვს) ამერიკის მოქალაქეობა.

სხვათა შორის, მას შემდეგ, რაც ნაცებმა არჩევნები წააგეს, ერთ-ერთმა განსასჯელმა, საპელაციო სასამართლოზე, ასეთი „საცნაური“ განცხადება გააკეთა: „როგორ შეიძლებოდა, იმგვარ ცენტრალიზებულ სისტემაში, როგორიც თავდაცვის სამინისტროა, ესოდენ მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებები მინისტრის გარეშე ყოფილიყო მიღებული“.

მართლაცდა, როგორ შეიძლებოდა?

ეს ყოველივე ისტორიას კიდევ უფრო მეტ პიკანტურობას სძენს. ამ ფონზე უკვე ალასანიას ყოფილი პარტნიორების გათამაშებული ტრაგიკომედიაც კი აღარ გამოიყურება რაიმე „ნოვაციად“ არათუ ქართულ პოლიტიკაში, არამედ პოლიტიკური „პარტიტურის“ რაიმე, მდარე ხარისხის ოპერეტაში.

ხოლო ალასანიას თემის ერთხელ და სამუდამოდ ამოწურვით (როგორც ჩანს, მას საქართველოში უკვე თვალითაც ვეღარავინ იხილავს ვერასდროს) ერთი ზოგადი ხასიათის დასკვნა აუცილებლად უნდა „დაიდოს“ აქვე: ამ ქვეყანაში ორი რამ აბინძურებს ბავშვობის, ანუ „ტრუსიკის მეგობრობას“: საერთო ბიზნესი (ესე იგი ფული) და პოლიტიკა!

მხოლოდ ამ ორი ფენომენის გამო შეიძლებოდა ერთმანეთს ასე (!) დაშორებოდნენ ის ადამიანები (გამგები გაიგებს ვისაც ვგულისხმობ), ვინც ლამის საბავშვო ბაღიდან ერთად იყვნენ. ამიტომ, თუ ბავშვობის მეგობრების შენარჩუნება გსურთ, ამ ორ საზიზღრობაში (პოლიტიკაში და საერთო ბიზნესში) მათ ჩართვას ერიდეთ მუდამ — შეხვდით ხოლმე ხანდახან, მოესიყვარულეთ და ილაპარაკეთ ფეხბურთზე... ან გაიხსენეთ „შატალოზე“ როგორ წახვედით მერვე კლასში და პირველად როგორ „დააბით ნაშა“. თორემ იმაზე ახლო და დიდი ხნის მეგობრები, ვიდრე „ესენი“ იყვნენ, — იშვიათიც კია.

* * *

და მთავარი: დავით უსუფაშვილი!

ისევ „ტრაგიკომიკურობით“ რომ დავიწყოთ, საარჩევნო სუბიექტს, რომელიც 8 ოქტომბრის არჩევნებში მონაწილეობდა და „პროცენტნახევარი“ მიიღო, ეწოდებოდა „უსუფაშვილი — რესპუბლიკელები“.

თუმცა, ბევრად სამართლიანი და სწორი იქნებოდა რქმეოდა (ამას მხოლოდ ჰიპოთეტურად ვამბობ) „ძმები ბერძენიშვილები-რესპუბლიკელები“. იმიტომ, რომ ეს პარტია, რომელსაც ხან ივლიანე ხაინდრავა ხელმძღვანელობდა, ხან იგივე დათო უსუფაშვილი, ახლა ვინმე სამნიძე ხელმძღვანელობს, სინამდვილეში ყოველთვის იყო, არის და მუდამ იქნება „ქართული ლიბერალიზმის აიათოლლების“, — დათო და ლევან ბერძენიშვილების პარტია!

სანამ ისინი იქნებიან „რესპუბლიკელები“, მანამ იქნება „რესპუბლიკური პარტია“. თუ ისინი აღარ იქნებიან ამ პარტიის წევრები, მაშინ ეს უკვე აღარ იქნება „რესპუბლიკური პარტია!“

მორჩა და გათავდა!

* * *

მიზეზების თაობაზე. ანუ, „რატომ გააკეთა ეს უსუფაშვილმა?“.

ისევ მნიშვნელოვან ნიუანსებს დავაკვირდეთ: ასეთი ნირწამხდარი, როგორც გამოსამშვიდობებელი ბრიფინგის დროს, დათო უსუფაშვილი არავის ახსოვს მისი ბოლო 25-წლიანი პოლიტიკური მოღვაწეობის განმავლობაში!

ჩვენი გენიალური დედა-ენის სემანტიკა გვაძლევს საშუალებას, მივაგნოთ იმგვარ განსაზღვრებებს, რომლებიც სხვა არც ერთ ენაში არ მოიძევება: არა „დაბნეული“, არა „შეწუხებული“, არა „გულგატეხილი“, არა „იმედგაცრუებული“, არა „ნაწყენი“, არამედ სწორედ ნირწამხდარი!

და მართლაც, არასდროს დღემდე, დათო უსუფაშვილი ჩვენ „ასეთი“ არ გვინახავს!

რა მოხდა სინამდვილეში?

ამ კითხვის დასმაც იმიტომ გვიხდება, რომ ქართულ პოლიტიკაში დამკვიდრებული ტრადიციისამებრ, ის ქართველი პოლიტიკოსები, რომლებიც ასეთ თუ მსგავს განცხადებებს აკეთებენ („გირჩი“, მერე ვაშაძე, მაჭავარიანი, ალასანია, პეტრიაშვილი, ცაგარეიშვილი და ა.შ) არასდროს ამხელენ, რა გახდა კონკრეტულად(!) მათი გადაწყვეტილების მიზეზი; კონკრეტულად (!) რას ეხებოდა ის უთანხმოება, რამაც საბოლოოდ განხეთქილება გამოიწვია, რა საკითხზე ვერ თანხმდებოდნენ, რაზე კამათობდნენ საგნობრივად. კოლეგა-ჟურნალისტების ამ ბუნებრივ და აბსოლუტურად ლეგიტიმურ კითხვას: „მაინც რა იყო დისკუსიის საგანი, მაინც რაზე ვერ შეთანხმდით კონკრეტულად“, მუდამ მოსდევს ცრუპენტელური პასუხი: „შიდაპარტიულ სამზარეულოზე ნუ გვალაპარაკებთ, ეს არ არის საინტერესო თქვენი მაყურებლისთვის“;

არადა აშკარა თვალთმაქცობაა, რადგან სწორედაც ესაა ყველაზე საინტერესო და სწორედ ეს აინტერესებს ყველაზე მეტად მაყურებელს:

ისევე, როგორც განსახილველ შემთხვევაში, უსუფაშვილთან დაკავშირებით: მაინც რაზე ვერ თანხმდებოდნენ კონკრეტულად, იგივე ძმები ბერძენიშვილები და დავით უსუფაშვილი?

ამას არ ამბობენ და ყველანაირად ცდილობენ, დაგვიმალონ. მაგრამ, საბედნიეროდ, გვაქვს საშუალება, შევაჯეროთ ფაქტები და დიდი ალბათობით ვივარაუდოთ, რა მოხდა და რაში (იყო) საქმე.

ამაში დაგვეხმარება სხვა ფაქტები და განცხადებები: მაგალითად, გიორგი ბარამიძეს ამას წინათ წამოსცდა, რომ მას შემდეგ, რაც „თავდემებმა“ (მერე „ეროვნულმა ფორუმმა“) კოალიცია დატოვეს, სერიოზულად

იხ. 7 გვ

ხალხის ხმა პარლამენტში

აი, ვინ უნდა აგვიხდინოს ქართული ოცნება

გიორგი თოთლაძე
№40 მაჟორიტარული
საარჩევნო ოლქი. ძარელი

გელევანი ფოფხაძე
№45 მაჟორიტარული
საარჩევნო ოლქი. ბორჯომი

ენზელ მკოიანი
№46 მაჟორიტარული
საარჩევნო ოლქი. ახალქალაქი

ელგუჯა გოცირიძე
№50 მაჟორიტარული
საარჩევნო ოლქი. თერჯოლა

ხალხის ხმა პარლამენტში

აი, ვინ უნდა აგვისდინოს ქართული ოცნება

პაატა კვიჟინაძე
№53 მაჟორიტარული საარჩევნო ოლქი. საჩხერე

გრიგოლ ლილუაშვილი
№54 მაჟორიტარული საარჩევნო ოლქი. ვანი

გრიგოლ მიქელაძე
№55 მაჟორიტარული საარჩევნო ოლქი. სამტრედია

ცოტნე ზურაბიანი
№57 მაჟორიტარული საარჩევნო ოლქი. წყალტუბო

მოხდა ის, რაც ამ ეტაპზე სასურველი იყო საქართველოსთვის

პარტია „თეთრების“ პოზიცია არჩევნების შედეგებთან დაკავშირებით

ჩვენ, თანმიმდევრული ვართ ჩვენს შეფასებებში, პოზიციას არ ვიცვლით პოლიტიკური ამინდის მიხედვით, ვრჩებით ოპოზიციურ პარტიად, მაგრამ არა ჩასაფრებასა და დაპირისპირებაზე, არამედ მომავლის საქართველოსათვის თანამშრომლობაზე ორიენტირებულ პარტიად, იმ პარტიად, რომელსაც მიაჩნია, რომ დაპირისპირება ანგრევს, თანამშრომლობა გულისხმობს ოპოზიციონერობას, ქვეყნის შენებას, ხალხის ინტერესების დაცვას. სწორედ ამიტომ პირდაპირ ვაცხადებთ: მოხდა ის, რაც ამ ეტაპზე სასურველი იყო საქართველოსთვის, ანუ ის, რისთვისაც ჩვენ ვიბრძოდით და ამას სახალხოდ და საჯაროდ ვამბობდით. კიდევ ერთხელ ვიმეორებთ, მოხდა ის, რაც ამ ეტაპზე სასურველია საქართველოსათვის.

ერთი მხრივ, დასრულდა კოჰაბიტაცია და დამნაშავე პარტიის პარპაში.

მეორე – ხალხი ბუნებრივად გახდა მთავარი ოპოზიციური ძალა, ანუ უაზრო პოლიტიკით დაღლილმა ხალხმა, არჩევნებზე მისვლით თუ არმისვლით, თქვა, რომ იგია ქვეყნის ბატონპატრონი და ასე ცხოვრების გაგრძელება აღარ შეიძლება.

მესამე – ამ არჩევნებმა პოლიტიკურად გააკოტრა ყველა პოლიტიკური ძალა, ქვეყანაში სრულიად თავისუფალია პოლიტიკური ველი, რაც შესაძლებელს ხდის, რომ ჩამოყალიბდეს კლასიკური ტიპის პოლიტიკური ძალები (სასურველია ორი) და ქვეყანაში დაიწყოს დიდი დემოკრატიული პროცესი.

არჩევნების შედეგებით ორს ეკისრება განსაკუთრებული პასუხისმგებლობა: ხალხის არნახული მხარდაჭერით გამარჯვებულ პოლიტიკურ ძალას – „ქართულ ოცნებას“ და უშუალოდ ხალხს, საზოგადოებას.

მოქმედებაში მოდის, ხაზგასმით ვამბობთ, ჯერ მხოლოდ მოდის, დემოკრატიული მსოფლიოს მთავარი პრინციპი:

„ქვეყანას მართავს ხელისუფლება, ხელისუფლებას ირჩევს და მართავს საზოგადოება, საზოგადოებას მართავს ინტელექტი და ზნეობა“

სწორედ აქ არის გამოკვეთილი გამარჯვებულის და გამმარჯვებელის პასუხისმგებლობაც.

„ქართულ ოცნებას“ დრომ და ხალხმა მისცა დიდი შანსი, იყოს ხალხის განწყობის გამომხატველი, იმოქმედოს რადიკალურად, აამოქმედოს დღემდე იგნორირებული და მიძინებული ქვეყნის ინტელექტუალური (მიუხედავად პარტიული კუთვნილებისა), ბუნებრივი, გეოგრაფიული, ეკონომიკური და ხალხის რესურსი, უცხოეთში მცხოვრები ჩვენი თანამემამულეების ჩათვლით და პარალელურად, საზოგადოებას დააკისრა პასუხისმგებლობა, მართოს ხელისუფლება, რათა ამ უკანასკნელმა შეასრულოს დაკისრებული მისია – იყოს ხალხის მსახური და არა უფროსი (როგორც ეს დღემდე იყო), არ იფიქროს ძალაუფლების უზურპაციაზე, რომლის შიშიც გაჩნდა საზოგადოებაში.

პირდაპირ ვთქვათ, იმედდაკარგული ხალხი, სწორედ ის ხალხი, ვისაც საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის შემდგომ, ყველა ხელისუფალი: ედუარდ შევარდნაძე, მიხეილ სააკაშვილი, ბიძინა ივანიშვილი დღემდე არწმუნებდნენ, რა ვქნათ, გვინდა ბევრის გაკეთება, მაგრამ ხელს გვიშლიანო, დღეს „ქართულ ოცნებას“ ეუბნება: „გაქვთ ნდობის სრული მანდატი, გვიჩვენეთ, ვინ ხართ, ჰა, ბურთი და მოედანი!“

ჩვენ, „თეთრები“, ვიზიარებთ მეცნიერთა საინიციატივო ჯგუფის, „ეროვნული თანხმობისათვის“ პოზიციას, რომ არჩევნებიდან ექვსი თვის განმავლობაში, „ქართული ოცნების“ მეგობარმაც, მტერმაც და მოყვარემაც ყოველმხრივ დავუჭიროთ მხარი მას, რათა ეფექტურად დაიწყოს ხალხისთვის მიცემული დაპირებების შესრულება – განსაკუთრებულად ის, რასაც ჰქვია ქვეყანაში სამართლიანობის დადგენა და ეს დაიწყოს 1991-92 წლებისა და შემდგომი გადატრიალებების სამართლებრივი შეფასებით, როგორც ეს ძალიან სერიოზულად გამოკვეთა ერთობლივ მიმართვაში საქართველოს პირველი უზენაესი საბჭოს და შემდგომი პარლამენტებისა და მეცნიერთა ერთმა ჯგუფმა.

სწორედ ამ შედეგების საჯაროდ და სახალხოდ შეჯამება აქვს გათვალისწინებული მეცნიერთა საინიციატივო ჯგუფს კონგრესზე და ამავე კონგრესზე აპირებს განისაზღვროს ხელისუფლებისადმი დამოკიდებულების შემდგომი პროგრამა.

ჩვენ, „თეთრები“ ვიქნებით საზოგადოების იმ ნაწილთან, იმ პოლიტიკოსებთან და პოლიტიკურ ძალებთან, ვინც ფიქრობს ეროვნული და სახელმწიფოებრივი განწყობის ძალთა კონსოლიდაციაზე და ასეთივე განწყობის პოლიტიკური ძალის შექმნაზე.

არ ვაკეთებთ დრამატიზებას, მაგრამ გარკვეული ეჭვით ვუყურებთ პოლიტიკურ ლიდერთა გაქცევებს საკუთარივე პოლიტიკური პარტიებიდან და პარალელურად მათ განცხადებებს, რომ რჩებიან პოლიტიკაშიც და ოპოზიციაშიც. ეს კი ნიშნავს, რომ მათი უცხოელი პატრონები ფიქრობენ, რომ დღემდე მათ მიერ მხარდაჭერილ პოლიტიკურ ძალებს უკვე აღარ აქვთ მომავალი – ყველა გაკოტრებულია და საჭიროა ახალი პოლიტიკური ძალების ფორმირება, იმავე მიზნებითა და ამოცანებით, რაც აქამდე ჰქონდათ ქვეყნის გარედან მართულ პოლიტიკურ ძალებს.

დაიწყო საინტერესო პოლიტიკური პროცესი. მისი სისტემატური ანალიზია საჭირო, რათა დავიცვათ ქვეყნის ინტერესები და დასრულდეს იმ პარტიების პარპაში, რომლებიც იმართებიან ქვეყნის გარედან, ემსახურებიან სხვათა ინტერესებს, ან მხოლოდ საკუთარ მერკანტილურ ინტერესებს და პოლიტიკა ბიზნესად აქციეს.

ამ პროცესში უდიდესია მეცნიერთა, ზნეობრივი ავტორიტეტების და ინტელიგენციის პასუხისმგებლობა, სამწუხაროდ, ხალხში გაძლიერებულია აზრი, რომ ინტელიგენცია გაყიდულია და უღალატა ხალხის ინტერესებს, შიშით ცხოვრობს და ემსახურება ხელისუფლებას და არა ქვეყანას.

ხალხის ამ განწყობის შეცვლას მეცნიერთა და, საერთოდ, ინტელიგენციის გაბედული ქმედებები სჭირდება. დემოკრატიული მსოფლიოს გამოცდილება ბევრს გვეუბნება: ინტელიგენცია და მეცნიერება ერთდროულად ხელისუფლების ბუნებრივი პარტნიორი და ოპონენტია. სხვათა შორის, ეს განწყობა საქართველოში კანონმდებლობითაც კი არის განმტკიცებული: მეცნიერებათა აკადემია, ზოგადად მეცნიერება, მიჩნეულია ხელისუფლების მრჩევლად. სამწუხარო ის არის, რომ დღემდე ეს პასუხისმგებლობა კარგად არ არის გაცნობიერებული არც ხელისუფლებაში და არც მეცნიერებაში.

ჩვენ, „ თეთრები“ ვისურვებდით, რომ ხელისუფლება სრულად ეყრდნობოდეს მეცნიერებას. მეცნიერები კი რეალური გაბედული რჩევებით კვებავდეს ხელისუფლებას. პასუხისმგებლობა მარტივად უნდა ჩამოყალიბდეს: მეცნიერები აძლევენ რჩევებს, ამის თაობაზე საზოგადოება ინფორმირებულია თუ ხელისუფლება ითვალისწინებს და შედეგი არ დადგა, ეს მეცნიერების სერიოზულ პასუხისმგებლობას უნდა ნიშნავდეს და ეს პასუხისმგებლობა განსაკუთრებული უნდა იყოს მაშინ, თუ საპირისპირო პროცესთან გვაქვს საქმე, ანუ მეცნიერებს ან არაფერს ეკითხებიან, ან მათ რჩევებს არ ითვალისწინებენ. ესეც ხმამაღლა უნდა ითქვას და საზოგადოება მზად უნდა იყოს, ამ შემთხვევაში პასუხისმგებლობა დააკისროს სწორედ ხელისუფლებას და იფიქროს მის შეცვლაზე.

* * *

ჩვენ „თეთრები“, ვფიქრობთ, რომ ამ არჩევნების შედეგებით, არ დარჩა საზოგადოების არც ერთი ფენა, არც ერთი რგოლი, იქნება ეს სახელისუფლებო თუ მის გარეთ, უფრო მეტიც, არ დარჩა საქართველოს ერთი მოქალაქეც კი, რომლის პასუხისმგებლობა არ არის გამოკვეთილად განსაზღვრული.

ახლა გამოჩნდება, ვის რა პასუხისმგებლობის გრძნობა გაგვაჩნია ქვეყნისა და მისი მომავლის წინაშე.

ჩვენ, „თეთრები“, ვგრძნობთ პასუხისმგებლობას იმითაც, რომ არჩევნებში მონაწილეობა არ მივიღეთ, სახალხოდ და საჯაროდ განვაცხადეთ, რომ ამ ეტაპზე სასურველი იყო არჩევნებზე მხარი დაეჭირათ „ქართული ოცნებისთვის“... ვგრძნობთ პასუხისმგებლობას იმის გამო, რომ ასევე სახალხოდ და საჯაროდ მეორე ტურის არჩევნების წინ, მხარი დავუჭირეთ „ქართული ოცნების“ მიერ კონსტიტუციური უმრავლესობის მიღებას.

ჩვენ სწორედ ამ პასუხისმგებლობის შესაბამისად ვიმოქმედებთ: ყველა კარგ საქმესა და წამოწყებას დავუჭერთ მხარს, უკომპრომისო ვიქნებით იმის შეფასებაში, რასაც ქვეყნისთვის მიუღებლად ჩავთვლით, ყველა საშუალებით ვიბრძოლებთ, რომ დასრულდეს ქვეყნის გარედან მართვა, ვიქნებით იქ, სადაც იზიარებენ უმთავრეს პრინციპს:

ქართული, მხოლოდ ქართული გზა! ქვეყნის გადარჩენის სხვა გზა არ არსებობს – ქვეყანა ერის გუნებიდან გამომდინარე უნდა იმართებოდეს! ყალბი და ანტიქართულია ქვეყნის გარეთ ყურება და ქვეყნის გარეთ მხსნელის ძებნა... გარეთ მხოლოდ მეგობრები უნდა ვეძებოთ და არა პატრონები!

თეიმურაზ შაშიაშვილი

რატომ მიდიან ლიდერები პოლიტიკიდან?

(მეხუთე გვერდიდან)

განიხილებოდა „ალასანიას პარტიის“, „ფორუმის“, „რესპუბლიკელების“ და „ნაციონალური მოძრაობის“ მიერ ახალი საპარლამენტო უმრავლესობის ჩამოყალიბება პარლამენტში!

მარტივი არითმეტიკით შეიძლება დავრწმუნდეთ, რომ ეს სავსებით შესაძლებელი იქნებოდა იმ შემთხვევაში, თუ „რესპუბლიკელები“ დათანხმდებოდნენ! სხვა ყველა თანახმა იყო. ყოველ შემთხვევაში იმდენად მაინც, რომ უსუსტესი ირაკლი ღარიბაშვილი თავად გადაეყენებინათ მანამ, სანამ მის გადაყენებას ბიძინა ივანიშვილი მოასწრებდა.

ამის შემდეგ კი შეიქმნებოდა ახალი კოალიციური მთავრობა, ყველა „ნაციონალი“ თუ „თავისუფალი დემოკრატი“ პატიმარი გამოვიდოდა ციხიდან და ა.შ.

ძმები ბერძენიშვილები ამაზე ფიქრობდნენ. ამით აიხსნება, რომ სწორედ ლევან ბერძენიშვილმა გააჟღერა პრინციპული წინადადება „თემატური კოალიციის“ შესახებ, ანუ ისეთი ხელშეკრულების გაფორმებისა „ქართულ ოცნებასთან“, რომელიც მოიცავდა რამდენიმე პრინციპულ მომენტს; მათ შორის კოალიციიდან თოფაძე-ტყემალაძის გაგდებას „ნატო“-ზე მათ მიერ გაკეთებული განცხადებების საბაბით და ა.შ.

ეს საკითხი „აიათოლლებმა“ პრინციპულად დასვეს კოალიცია „ქართული ოცნების“ საბჭოზე. მაგრამ უარი მიიღეს. მაშინ „რესპუბლიკელებში“ დაიწყო დისკუსია იმაზე, გამოეყენებინათ თუ არა სასტიკი უარი საბაბად (!) კოლიციიდან „კარის გამოსაჯახუნებლად“ და „ნაციონალთა“ წინადადების მისაღებად, რისთვისაც ყველაფერი უკვე მზად იყო „კაზუს ბელის“ ჩათვლით.

მაგრამ პარლამენტის თავმჯდომარე უსუფაშვილი კატეგორიული წინააღმდეგი წავიდა. ამ წინააღმდეგობის მიზეზი რა იყო, ეს ყველაზე რთული კითხვაა: შეიძლება ის, რომ „ბატონი ბიძინას“ მიმართ ამგვარი საქციელი, „კახურად“ თუ არ ვიტყვით, ნაძირლობად მიაჩნდა, ან სხვა რაიმე მიზეზით.

* * *

აქვე: სწორედ მაშინ დადასტურდა, რამდენად ეშმაკური გადაწყვეტილება მიიღო იმავე ბიძინა ივანიშვილმა, როდესაც უსუფაშვილის ზე-უშველებელი ამბიციის მეუღლე თავდაცვის მინისტრად დანიშნა! სულ ბოლოსაც კი, სანამ ყველაფერი უაზროდ არ იქცა არჩევნების კარზე, ისე „ეჭიდებოდნენ“ ამ პოსტებს, რომ ნამდვილად არ ეთმობოდათ. „ბუნების დაცვის მინისტრმა“ საერთოდაც თავისი გუნდიდან წასვლა გადაწყვიტა, ოღონდ კი „პრემიერის გუნდში“ დარჩენილიყო.

* * *

ამრიგად, ეს შიდაპარტიული დისკუსიები, რომლის ნაწილი „რესპუბლიკელთა“ ფორმალურმა თავმჯდომარე ხათუნა სამნიძემ ფრთხილად გაამხილა ბოლო ინტერვიუებში, იმას ეხებოდა, რა „მოდუს ვივენდი“ გამოეძებნათ კოალიციის შიგნით ისე, რომ, ერთი მხრივ, პოლიტიკური რენომე არ დაეკარგათ, ხოლო, მეორე მხრივ, გადაწყვეტილებებზე გავლენის ბერკეტები შეენარჩუნებინათ და, ბუნებრივია, შეენარჩუნებინათ პოსტებიც – პარლამენტის თავმჯდომარისა იქნებოდა თუ თავდაცვის მინისტრის.

არც ერთი წუთით არ დაგვავიწყდეს ძალიან მნიშვნელოვანი ისტორიული ფაქტი: დავით უსუფაშვილი 1989 წლის 9 აპრილის შემდეგ(!) გაწევრიანდა „კომუნისტურ პარტიაში“ და ამას დღემდე ხსნის იმით, რომ სურდა კომუნისტური ხელისუფლება „შიგნით“ ყოფნით, ან შიგნიდან მუშაობით გაეკეთილშობილებინა! ესე იგი, მისი თქმით „გარედან ხომ ვერ გავაკეთილშობილებდი კომპარტიას, მაგრამ „შიგნით ყოფნით“ მეტი შემეძლებოდაო“.

ახლა ასევე გვიხსნის: „გარედან ვერ გავაკეთილშობილებდით „ქართულ ოცნებას“ და შიგნიდან ყოფნით ბევრს მოვახერხებდითო. გარდა ამისა, ისიც საკითხავია, რა უფრო „დაარტყამდა“ რესპუბლიკელთა რენომეს: ქართულ ოცნებასთან „გაყრა“ თუ მიშას პარტიასთან „შეკვრა“.

არც ისე იოლი კითხვაა, როგორც ერთი შეხედვით ჩანს.

დათო უსუფაშვილი საკმაოდ ჭკვიანი და გამოცდილი პოლიტიკოსია; ძალიან მაღალი თანამდებობაც ეკავა საიმისოდ, ამ შიდა-პარტიულ ბრძოლაში თუ დისკუსიაში თავისი სიტყვა ეთქვა... როგორც ბოლო 4 წლის ისტორიამ დაადასტურა, არც ე.წ. „აპარატული ინტრიგებია“ მისთვის უცხო და აქაც ნიჭიერად მოქმედებდა, მაგრამ... სწორედ ამ დროს ჩაერთო ერთი უმნიშვნელოვანესი მომენტი, რომელიც 8 ოქტომბრის შემდეგ უზარმაზარ „ლოდად“ დაეკიდა უსუფაშვილის კისერზე: „ამოდენა კაცი“ რომ ასე სამარცხვინოდ წააგებ საკუთარ რაიონში არჩევნებს... თანაც ვისთან? ვისთან?! - ლევან გოგიჩაიშვილთან???!!! . . . აქ უკვე მართლა ყველაფერი დამთავრებულია და ნებისმიერ შენს არგუმენტს, რა „ბრძნული“ და „ჭკვიანურიც“ არ უნდა იყოს, რა წარსული დამსახურება და ავტორიტეტიც არ უნდა გქონდეს, ეს „ლოდი“ მაინც ჩაგძირავს.

და ჩაძირა კიდეც. სამუდამოდ.

გელა კალანდაძე

სამსახურიდან გათავისუფლებული ორსული ქალისთვის ახმეტის გამგეობას განაცდურის გადახდა მოუწევს

თელავის რაიონულმა სასამართლომ გადაწყვეტილება წელიწადნახევრიანი განხილვების შემდეგ გამოაცხადა.

საქართველოს პროფესიული კავშირების გაერთიანების ინფორმაციით, სასამართლომ ბათილად ცნო გამგებლის ბექა ბაიდაურის 2015 წლის 14 აგვისტოს ბრძანება ანა ახალაურის სამსახურიდან განთავისულფების შესახებ და მოპასუხეს მისთვის იძულებითი განაცდურის ანაზღაურება დაეკისრა.

„შეგახსენებთ, 8 თვის ორსული ანა ახალაური ახმეტის მუნიციპალიტეტის გამგებლის ბრძანებით თანამდებობიდან 2015 წლის 14 აგვისტოს გაათავისუფლეს.

ორსული ქალის სამსახურიდან განთავისუფლებას წინ უძღოდა შემდეგი გარემოება: ანა ახალაურმა, 2015 წლის 13 აგვისტოს, მიმართა ახმეტის მუნიციპალიტეტის გამგებელს დეკრეტული შვებულების თხოვნით. გამგებელმა მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე უარი განუცხადა, რის შემდეგაც ანა ახალაური იძულებული გახადეს, იმავე დღეს, დაეწერა განცხადება სამსახურიდან განთავისუფლების თაობაზე, რაც გამგებლის მიერ მაშინვე იქნა დაკმაყოფილებული.

ახალაურმა საკუთარი უფლებების დასაცავად მიმართა საქართველოს პროფესიული კავშირების გაერთიანებას. გაერთიანების ქალთა კომიტეტმა მყისიერად მოახდინა რეაგირება ანას უფლებების დაცვის მიზნით. მოსარჩელის უფლებებს საქართველოს პროფესიული კავშირების გართიანება იცავს.

აღნიშნულ საქმეზე თელავის რაიონულ სასამართლოში არაერთი სასამართლო პროცესი იქნა ჩატარებული. 2016 წლის 25 ოქტომბრის გადაწყვეტილებით სასამართლომ მიიჩნია, რომ გამგებლის ბრძანება ანა ახალუარის სამსახურიდან განთავისუფლების თაობაზე იყო უკანონო, დაუსაბუთებელი და შესაბამისად, ბათილად იქნა ცნობილი“.

2015 წელს საწარმოო ტრავმებმა 123 სიცოცხლე შეიწირა

ბოლო 4 წელია, საქართველოში საწარმოო შემთხვევებისას გარდაცვლილთა და დაშავებულთა რაოდენობა არ მცირდება. პროფკავშირებში ამტკიცებენ, რომ ეს შრომის ინსპექტირების დეპარტამენტის არაეფექტური მუშაობის გამოწვეული პრობლემაა. ინსპექციას არ შეუძლია სანქციის, ჯარიმის დაწესება და მხოლოდ რეკომენდაციის მიცემით შემოიფარგლება.

სახალხო დამცველის ოფისის მიერ გამოქვეყნებული მონაცემებით, 2015 წელს სამუშაო ადგილზე დაშავდა და გარდაიცვალა 123 ადამიანი. ეს მიუთითებს, რომ ქვეყანაში შრომის უსაფრთხოების დაუცველობა უმწვავესი პრობლემაა.

„სულ მცირე, 2-3 დღეში ერთხელ ხდება სავალალო შემთხვევა, როდესაც სამუშაო ადგილებზე ადამიანები ჯანმრთელობის მძიმე დაზიანებებს იღებენ ან იღუპებიან. მხოლოდ უკიდურესად ცოტა ფაქტს აშუქებს მედია და შესაბამისად, საზოგადოების თვალთახედვის მიღმაც ბევრი რამ რჩება“, – აღნიშნულია უჩა ნანუაშვილის განცხადებაში. სახალხო დამცველი მიიჩნევს, რომ სამუშაო ადგილებზე ჯანმრთელობის დაშავებისა და გარდაცვალების შემთხვევები სახელმწიფოს პასუხისმგებლობის სფეროა.

აღსანიშნავია, რომ 2015 წლიდან ქვეყანაში შრომის პირობების ინსპექტირების დეპარტამენტი მოქმედებს, თუმცა საქართველოს გაერთიანებულ პროფკავშირებში აცხადებენ, რომ მექანიზმი, რომელზეც ბიუჯეტიდან თანხა გამოიყოფა, არაეფექტური და ფორმალურია.

პროფკავშირების თავმჯდომარის მოადგილის გოჩა ალექსანდრიას თქმით, ინსპექციას არა აქვს უფლება საკუთარი სურვილით, კომპანიის დაუკითხავად და თანხმობის გარეშე შევიდნენ და შეამოწმონ რამდენადაა დაცული უსაფრთხოების წესები, ხოლო რაც შეეხება შრომით უფლებებს (ხელფასი, გრაფიკი, ზეგანაკვეთურის ანაზღაურება და ა.შ.) ამ მხრივ შემოწმების უფლებამოსილება ინსპექციას არ გააჩნია.

გარდა ამისა, ინსპექციას არ შეუძლია სანქციის, ჯარიმის დაწესება, შესაბამისად, დარღვევის აღმოჩენის შემთხვევაში მხოლოდ კომპანიისთვის რეკომენდაციის მიცემით შემოიფარგლება, რომელიც კონფიდენციალურია.

„დამსაქმებლის ნება-სურვილზეა, შეუშვებს თუ არა ინსპექტორს კომპანიაში ან რამდენად გაითვალისწინებს მათ რეკომენდაციას. ამიტომ ვფიქრობთ, რომ ამ ეტაპზე ამ ორგანოს აღქმა სერიოზულად არასწორია. ერთადერთი შემთხვევა, როცა ინსპექციას უფლება აქვს, დაუკითხავად შევიდეს საწარმოში, ტრეფიკინგზე ან იძულებით შრომაზე (იარაღით ან რაიმე სახის მუქარით იძულება) ეჭვია.

ამასთან, რასაც თვალყურს ვადევნებთ, საწარმოო შემთხვევებში გარდაცვლილთა და დაშავებულთა რიცხვი მიმდინარე წლის განმავლობაში წინა წლებთან შედარებით დიდად განსხვავებული არ იქნება. რაც ასევე ადასტურებს უწყების არაეფექტურობას“, – აღნიშნა „ბიპიენთან“ საუბრისას გოჩა ალექსანდრიამ.

პროფკავშირებში ყურადღებას ამახვილებენ სამშენებლო ობიექტებზე უსაფრთხოების ზომების შემოღების თაობაზეც, რომელსაც 2014 წელს პრემიერ-მინისტრმა ხელი მოაწერა, მაგრამ მისი აღსრულება დღემდე ვერ ხერხდება.

2016 წლის განმავლობაში საწარმოო შემთხვევებისას გარდაცვლილია 20-მდე და მძიმედ დაშავებულია (როდესაც მკურნალობა 2 დღეზე მეტ ხანს გრძელდება) 40-მდე ადამიანი.

რაც შეეხება წინა წლების სტატისტიკას, შს სამინისტროს ცნობით, საწარმოო შემთხვევების შედეგად 2011 წელს 54 ადამიანი გარდაიცვალა და 137 დაშავდა. 2012 წელს 48 გარდაიცვალა და 289 დაშავდა; 2013-ში – 23 გარდაცვლილი და 111 დაშავებული, 2014 – 45 გარდაცვლილი და 72 დაშავებული და 2015 წელს 42 გარდაცვლილი და 82 დაშავებული.

ბექა დანელია

საქართველოში ბიზნესის წარმოება კიდევ უფრო გამარტივდა

როგორც ვიუწყებოდით, მსოფლიო ბანკის კვლევის მიხედვით, ბიზნესის წარმოების სიმარტივით საქართველო 190 ქვეყანას შორის მე-16 ადგილზეა. ამასთან, ევროპისა და ცენტრალური აზიის რეგიონში საქართველო მესამე ადგილზეა უმაღლესი რეიტინგის მქონე ქვეყნებს შორის – მაკედონიის და ლატვიის შემდეგ. მთავრობა ამტკიცებს, რომ ეს პირდაპირი გზავნილია ინვესტორებისთვის. **რამდენად იმოქმედებს მსოფლიო ბანკის რეიტინგი უცხოურ ინვესტიციებზე, ეს მალე გამოჩნდება.**

საქართველო, ასევე, იმ მოწინავე 10 ქვეყანას შორისაა, რომლებმაც მნიშვნელოვნად გააუმჯობესეს საკუთარი მაჩვენებლები გლობალური მასშტაბით.

გასული წლის განმავლობაში საქართველომ ხუთი რეფორმა განახორციელა ისეთ სფეროებში, როგორებიცაა: ელექტროენერგიის მიღება, ქონების რეგისტრაცია, მინორიტარი ინვესტორების უფლებების დაცვა, საერთაშორისო ვაჭრობა და გადასახადების გადახდა.

გაუმჯობესდა მიწის ადმინისტრირება თბილისში კერძო მფლობელობაში არსებული ნაკვეთების რუკაზე დატანით. საქართველომ გააძლიერა მცირე ინვესტორების დაცვა აქციონერთა უფლებების და როლის გაზრდით ძირითადი კორპორაციული გადაწყვეტილებების მიღებაში და მფლობელობის და მაკონტროლებელი სტრუქტურების მკაფიოდ განსაზღვრით. ელექტრონული დამუშავების სისტემის გაუმჯობესებით შესაძლებელი გახდა ექსპორტის და იმპორტის დოკუმენტების უფრო სწრაფი წარდგენა. ასევე, დაინერგა წინასწარი ელექტრონული დოკუმენტების წარდგენის შესაძლებლობა. გადასახადების გადახდის სფეროში საქართველომ გააუქმა მოგების გადასახადის დეკლარაციის დამატებითი დანართი და გააუმჯობესა დღგ-ის დეკლარაციების წარსადგენად გამოყენებული ონლაინ სისტემის ეფექტიანობა.

„ბიზნესის წარმოების“ კვლევის მიერ შეფასებულ ხუთ სფეროში განხორციელებული რეფორმების შედეგად საქართველოს წინსვლა განსაკუთრებულ აღნიშვნას იმსახურებს. ქვეყანა კვლავაც წარმატებულ რეფორმატორებს შორისაა ეკონომიკური ზრდით და გლობალური შოკების მიმართ მდგრადობის გაძლიერებით“, – აღნიშნა მსოფლიო ბანკის რეგიონულმა დირექტორმა სამხრეთ კავკასიაში მერსი ტემბონმა.

მთავრობა მსოფლიო ბანკის შეფასებით ძალიან კმაყოფილია. ეკონომიკის მინისტრის დიმიტრი ქუმსიშვილის შეფასებით, საქართველოს წლევანდელი წარმატება განპირობებულია მთავრობის კოორდინებული და ეფექტური მუშაობით.

„ბოლო ერთ წელიწადში რეიტინგის მიზნებისთვის აღიარებული ხუთი რეფორმით საქართველო მსოფლიოში 190 ქვეყანას შორის კვლავ მთავარ ათ რეფორმატორს შორისაა. წინა წლებთან შედარებით, 2017 წელს საქართველომ გადაუსწრო ისეთ ქვეყნებს, როგორიცაა გერმანია, რომელიც მე-17 ადგილზეა და ირლანდია, რომელიც მე-18 ადგილზეა“, – განაცხადა დიმიტრი ქუმსიშვილმა.

მისივე ინფორმაციით, საქართველო მშენებლობის და ქონების რეგისტრაციის მიხედვით, პირველ ადგილზეა. ქვეყნის რეიტინგი გაუმჯობესებულია 7 ინდიკატორში 11 კომპონენტში, ხოლო საქართველოს ქულა გაუმჯობესებულია 7 ინდიკატორში.

წინა წელთან შედარებით 2017 წელს საქართველომ გადაასწრო ისეთ ქვეყნებს, როგორებიცაა გერმანია (მე-17 ადგილი), ირლანდია (მე-18 ადგილი), ავსტრია (მე-19 ადგილი), ისლანდია (მე-20 ადგილი), ლიტვა (21-ე ადგილი), კანადა (22-ე ადგილი), მალაიზია (23-ე ადგილი), პოლონეთი (24), პორტუგალია (25), ჩეხეთი (27), ნიდერლანდები (28), საფრანგეთი (29), სლოვენია (30), შვეიცარია (31), ესპანეთი (32), სლოვაკეთი (33), იაპონია (34), იტალია (50), ისრაელი (52), აზერბაიჯანი (65), თურქეთი (69), უკრაინა (80) და სხვა.

პრემიერ-მინისტრ გიორგი კვირიკაშვილის შეფასებით, 7-საფეხურიანი ნახტომი რეიტინგში მნიშვნელოვანი სიგნალი იქნება ნებისმიერი ინვესტორისთვის. **„მსოფლიო ბანკის რეიტინგს რაც შეეხება, ძალიან კარგი, მნიშვნელოვანი ცვლილება მოხდა. ფაქტობრივად, 7 საფეხურით აიწია საქართველომ ბიზნესის კეთების მსოფლიო რეიტინგში – 23-ე ადგილიდან მე-16 ადგილზე. ეს არის ძალიან მნიშვნელოვანი ცვლილება, ვინაიდან საქართველო შედის წამყვან ქვეყნებში. პოზიტიური ცვლილება მნიშვნელოვანი იქნება ნებისმიერი ინვესტორისათვის, რომელიც ფიქრობს საქართველოში კაპიტალის დაბანდებას“,** – განაცხადა გიორგი კვირიკაშვილმა.

გეძა დანელია

ლარი აუცილებლად უნდა დასტაბილურდეს, თუ გვინდა, რომ საწვავი არ გაძვირდეს!

საქართველოში **რამდენიმე დღის წინათ საწვავი გაძვირდა, მაგრამ ეს ტენდენცია შეიძლება კიდევ გაგრძელდეს. საქმე ისაა, რომ საქართველოში ლარის კურსის არასტაბილურობამ და მსოფლიო ბაზარზე ნავთობის გაძვირების ტენდენციამ პერმანენტული ხასიათი მიიღო. ამიტომ საცალო ქსელში ფასი თანდათან მატულობს.**

ნავთობპროდუქტების იმპორტიორთა კავშირის თავმჯდომარე ვანო მთვრალაშვილის ინფორმაციით, საერთაშორისო ფასები სექტემბრიდან დღემდე ბენზინის შემთხვევაში მომატებულია 50-60 დოლარით, რაც 10%–იანი მატებაა, დიზელის შემთხვევაში კი მატება 60-65 დოლარია, ანუ 15%. მთვრალაშვილი ამბობს, რომ ლარის კურსი და ნავთობის საერთაშორისო ფასები პირდაპირ მოქმედებს საწვავის მიმდინარე ფასებზე. ამიტომ მომავალში ფასების ზრდის ან კლების ტენდენციის პროგნოზირება რთულია, თუმცა ჯერჯერობით ბაზარზე ტარიფების მატება შეინიშნება.

„ჯერჯერობით ლარის გამყარების ტენდენცია არ იკვეთება. მე არ შემიძლია დავადასტურო, რომ ზრდა გაგრძელდება, თუმცა შემიძლია გითხრათ, რომ ვალუტის დღევანდელი კურსი მასზე უარყოფითად აისახება“, – განაცხადა ვანო მთვრალაშვილმა.

ამ რამდენიმე დღის წინ ბენზინისა და დიზელის ფასმა თითქმის ყველა ბენზინგასამართ სადგურზე, დაახლოებით, 4-6 თეთრით მოიმატა. ნავთობპროდუქტების იმპორტიორთა კავშირში ამას საერთოშირისო და ადგილობრივი ფაქტორების ერთობლიობით ხსნიან.

„ოპეკის წევრი ქვეყნები ნავთობის მოპოვების შემცირებაზე შეთანხმდნენ, ამ შეთანხმებას, რომლის მიზანიც ნავთობის ფასის ზრდა იყო, ოპეკის არაწევრი მნიშვნელოვანი ნავთობმომპოვებელი ქვეყნებიც, მაგალითად, რუსეთიც შეუერთდა. შედეგად მნიშვნელოვნად მოიმატა ნავთობპროდუქტების ფასმა საერთაშორისო ბაზარზე. ამას დაემატა, რომ ლარი გაუფასურდა დოლართან მიმართებაში და რადგან დღეს, ორივე ეს ფაქტორი ნეიტრალურ დიაპაზონშია, საწვავის ფასის მატება გარდაუვალი იყო“, – აღნიშნა მთვრალაშვილმა.

მისივე თქმით, ბრენდირებულმა გასამართმა სადგურებმა საწვავი ცოტა გვიან გააძვირეს, რადგან გარკვეული მარაგი ჰქონდათ. რაც შეეხება არაბრენდირებულ სადგურებს, იქ უკვე დაახლოებით 2 კვირაა, რაც ფასებმა იმატა.

ნავთობიმპორტიორებიც ადასტურებენ, რომ ფასების დარეგულერება შეუძლებელი იყო და თუ მომავალში ლარის კურსი არ დასტაბილურდა, ბაზარზე გაურკვეველი სიტუაცია ისევ იქნება. კომპანია „გალფში“ აცხადებენ, რომ საერთაშორისო ტენდენცია საქართველოში საწვავის ფასზე პირდაპირ აისახა.

„საერთაშორისო ბაზარზე საწვავის ფასის ზრდა 10%-ით შეინიშნება და შესაბამისად, ნავთობის იმპორტიორ ყველა კომპანიასა და ჩვენს ქსელშიც ფასებმა მოიმატა. რაც შეეხება მომავალში ფასების ზრდის ან კლების ტენდენციას, ჩვენ ამაზე პროგნოზირებას ვერ მოვახდენთ, რადგან ეს პირდაპირ საერთაშორისო ბაზარზეა დამოკიდებული“, – აღნიშნა „გალფის“ წარმომადგენელმა ნინო ჯიბლაძემ.

„ლუკოილ ჯგუფის“ გენერალური დირექტორის მოადგილის შავლეგ მიშველაძის თქმით, კომპანიამ ყველა ტიპის საწვავის ფასს 5 თეთრი მოუმატა, რაც ორი ფაქტორითაა გამოწვეული.

„ფასების მატების ან კლების ტენდენციას ორი ფაქტორი, საერთაშორისო ბაზარზე ნავთობის ფასი ან ვალუტის კურსი იწვევს ან ორივე ერთად, როგორც ამ შემთხვევაში მოხდა. გადავხედეთ ჩვენს შესაძლებლობებს და ფასების კორექტირება მაქსიმალურად გვიან, გასულ ორშაბათს მოვახდინეთ“, – განმარტა მიშველაძემ.

„სოკარ ჯორჯია პეტროლიუმის“ წარმომადგენელი ირაკლი ზუბიტაშვილი ამბობს, რომ ქსელში საწვავის ფასები ცოტა ხნის წინათ 4-5 თეთრით გააძვირეს და ეს იყო მინიმალური მატება. ზუბიტაშვილი ამბობს, რომ ნავთობის საერთაშორისო ფასები არის ყველაზე მაღალი, რაც კი 2016 წლის განმავლობაში დაფიქსირებულა და არის ლარის კურსის რყევაც. კომპანია მაქსიმალურად დიდი ხნის განმავლობაში ცდილობდა ფასის შენარჩუნებას, თუმცა იძულებული გახდნენ, ფასები აეწიათ.

ბაქარ დადეშქელიანი

ნავთობის ფასის გამოცანა

ნედლ **ნავთობზე ფასების გაუთავებელი აწევ-დაწევის ამბავი ბოლო წლებში ობივატელმა ამინდის პროგნოზივით ლამის ზეპირად იცის, თუმცა კი, შეთხვევათა აბსოლუტურ უმრავლესობაში, წარმოდგენა არა აქვს, თუ რა განაპირობებს ამ ზევით-ქვევით „ხტუნვას“.**

საქმე ისაა, რომ უწინ ნავთობისა და, შესაბამისად, შემდგომ უკვე ბენზინის, ნავთისა და დიზელის საწვავის ფასს, რაც დიდად განსაზღვრავს სხვა პროდუქციის ღირებულებასაც, ბაზარზე მოთხოვნა-მიწოდება არეგულირებდა. როცა მოთხოვნა შეთავაზებას სჭარბობდა – ფასი მაღალი იყო, როცა პირიქით – დაბალი. მაგრამ, მე-20 საუკუნის 80-იან წლებში ამერიკის შეერთებულმა შტატებმა ეგრეთ წოდებული **„ფიუჩერსების“ სისტემა შემოიღეს, რომელიც ნავთობის მომავალი შესყიდვების კონტრაქტებს გულისხმობს.** ბირჟის მოთამაშეები ნავთობს ყიდულობენ, თუმცა კი **იმის გარანტია, რომ კონკრეტული კონტრაქტი შესრულდება, არ არსებობს. ამიტომაცაა, რომ დღესდღეობით ნავთობის ბაზარი – ესაა ფასიანი ქაღალდების ბაზარი, ნედლეულის ფასიც მათ მფლობელებზეა დამოკიდებული.**

მაშ, ვინ არიან ეს მოთამაშეები? ექსპერტთა ნაწილი ამბობს, რომ ესენი ერთმანეთთან კავშირის არამქონე ინვესტორები არიან, მაგრამ არის სხვა თეორიაც, რომლის შესაბამისად, **მსოფლიოს სიმდიდრე ერთმანეთში როტშილდებისა და როკფელერების კლანებს აქვთ განაწილებული. პირველს ხელს აძლევს ძვირიანი ნავთობი, მეორეთათვის კი, რომელთა მთავარი აქტივია ოქრო – დაბალფასიანი.** იმასაც კი ამბობენ, რომ როტშილდებს ნავთობისა და მასზე მიბმული დოლარის „ჩამოქცევა“ და ახალი, ოქროთი უზრუნველყოფილი ვალუტის შექმნა აქვთ გადაწყვეტილი.

ნინო ალექსანდრია

რითი იტანჯებოდნენ დიდი ადამიანები

ალექსანდრე III

ავადმყოფის ამბულატორიული სამედიცინო ბარათი

დიაგნოზი: გლომერულონეფრიტი, ურემია
საქმიანობა: სრულიად რუსეთის იმპერატორი
დაბადებით თარიღი: 1845 წელი
გარდაცვალების თარიღი: 1894 წელი

იმპერატორ ალექსანდრე III-ის მმართველობის 13 წელი ყველაზე მშვიდობიანი ხანა იყო რუსეთის სახელმწიფოს ისტორიაში – ამ დროს არც ერთი ომი არ ყოფილა. მეფეს სიცოცხლეშივე შეარქვეს მშვიდობისმყოფელი.

შთამომავლებს მან თავი კიდევ რამდენიმე გამონათქვამით დაამახსოვრა: „ევროპა მოიცდის, ვიდრე რუსი მეფე თევზაობს“ და „გარდა ჯარისა და საზღვაო ფლოტისა, რუსეთს სხვა მოკავშირეები არა ჰყავს“.

ახალგაზრდობაში ალექსანდრე III-ს არასდროს უავადმყოფია, თუმცა კი გემრიელად ჭამა-სმა მუდამ უყვარდა. ჭარბი წონის დასაგდებად იგი ცურავდა, ცხენით დადიოდა, ხშირად კი შუშას ხერხავდა და აპობდა – ეს მისი საყვარელი გასართობი იყო. იმხანად სიმსუქნე ჯანმრთელობისთვის საფრთხის შემცველად არ ითვლებოდა, მეფეს გახდომა პეწენიკობის გამო სურდა.

მაგრამ 1888 წელს სარკინიგზო კატასტროფის შემდეგ ყველაფერი შეიცვალა. ვაგონმა, რომლითაც მეფის ოჯახი და მსახურები მგზავრობდნენ, ნაწილებად დაშლა დაიწყო. ტანმაღალ და ფიზიკურად ძლიერ იმპერატორს ვაგონის სახურავი დიდხანს ეჭირა, მას შემდეგ კი მარჯვენა ბარძაყი გამუდმებით სტკიოდა. თანამედროვე მედიკოსების აზრით, მას შენაზარდები გაუჩნდა, რომლებიც ნერვებსა და საშარდე მილებს უჭერდნენ, რამაც გრომელურონეფრიტი – თირკმლების ბოლქვაკების ანთება გამოიწვია, რაც შეშუპებით, არტერიული წნევის აწევითა და შარდის გამოყოფის შემცირებით ვლინდება.

ხუთი წლის შემდეგ მეფეს გრიპი შეეყარა. პირადი ექიმი მას ტენიანი სითბოთი მკურნალობდა, მაგრამ ყველაფერი მოულოდნელად პნევმონიით დასრულდა. იმ დროისთვის უკვე აკეთებდნენ შარდის ანალიზს – მეფეს ცილა აღმოუჩინეს, რაც ანთების ნიშანია. ხელმწიფე გულმკერდის არეში ტკივილებს უჩიოდა, ახლობლებმა კი შეამჩნიეს, თუ როგორ უცბად მოტყდა იგი. როგორც ჩანს, იმ დროისთვის მას უკვე განუვითარდა ურემია – ორგანიზმის ცილოვანი პროდუქტებით მოწამვლა. კარის მედიკოსებმა ყველაზე ცნობილ მოსკოველ პროფესორ გ. ა. ზახარიინს დაუძახეს. მან ანალიზების შედეგებს ყურადღება არ მიაქცია და პაციენტს „პნევმონიის“ დიაგნოზი დაუსვა. უცნობია, თუ როგორ მკურნალობდნენ მეფეს, მაგრამ შედეგით ყველანი კმაყოფილნი დარჩნენ: ალექსანდრე III მალევე გამოჯანმრთელდა, ზახარიინი კი ორდენით დააჯილდოეს და სოლიდური ჰონორარიც მიუთვალეს.

ნახევარი წლის შემდეგ მეფეს წელის ძლიერი ტკივილები, პირღებინება, პირში უცნაური გემოს შეგრძნება დაეწყო. კვლავ ჩაუტარეს შარდის ანალიზი და იმ ჯერზე ცილა იმდენი იყო, რომ „ნეფრიტის“ – თირკმლების ანთების დიაგნოზი დაუსვეს. კვლავ მიიწვიეს ზახარიინი, რომელიც მეფეს თავის მოწაფესთან, იმედის მომცემ ახალგაზრდა პროფესორთან ნ. გოლუბოვთან ერთად ეწვია. მან გულმკერდის კაკუნით გასინჯვისას დაადგინა, რომ მეფეს გული გადიდებული ჰქონდა. თანამედროვე ექიმები ამას იმით ხსნიან, რომ ნეფრიტს სერიოზული ჰიპერტონია ახლავს, რომლის არმკურნალობას გულის გადიდება მოყვება.

ზახარიინმა პაციენტს დღის მკაცრი რეჟიმი, დღე ძილი და უმარილო დიეტა დაუნიშნა. თუმცა მეფეს დანიშნულება არ შეუსრულებია და სახელმწიფო საქმეებზე ევროპაში წავიდა. გერმანიაში იგი იმდენად ცუდად გახდა, რომ ყირიმში წასვლა დააპირა და სულ იმას გაიძახოდა, რუსი მეფე რუსეთში უნდა მოკვდესო. სასწრაფოდ გამოუძახეს ყველა ლეიბ-მედიკოსსა და ზახარიინს. ამასობაში მეფეს მუცლის წყალმანკი დაეწყო – სითხე მუცლის ღრუში უგროვდებოდა. იმ დროს ასეთ მდგომარეობას დრენაჟით მკურნალობდნენ – მუცელს გრძელი ნემსებით ხვრეტდნენ. მაგრამ, ინფექციის შეყრის შიშით, ზახარიინმა ასეთ მკურნალობაზე უარი თქვა, თან ქირურგებსაც შეეშინდათ, რომ ამ მანიპულაციებს იმპერატორის სიცოცხლე არ შესწიროდა.

20 ოქტომბერს კი ალექსანდრე III გარდაიცვალა.

თანამედროვე მიდგომა

გლომერულონეფრიტის დროს აუცილებელია სუფრის მარილის მოხმარების შეზღუდვა, გამორიცხულია გადაღლა და სიცივეში ყოფნა. მკაცრად აღირიცხება მიღებული სითხის ოდენობა. შეშუპების დროს მიიღება შარდმდენი საშუალებები, არტერიული წნევის დასაწევად კი – ჰიპოთენზიური პრეპარატები. პროგნოზი სასიკეთოა, თუკი ავადმყოფი ექიმს დროულად მიმართავს და მის ყველა რეკომენდაციას შეასრულებს.

პეტრე ჩაიკოვსკი

ავადმყოფის ამბულატორიული სამედიცინო ბარათი

დიაგნოზი: ქოლერა
საქმიანობა: კომპოზიტორი
დაბადების თარიღი: 1840 წ.
გარდაცვალების თარიღი: 1893 წ.

ყველაფერი პეტერბურგის ლეინერის მოდურ რესტორანში დაიწყო, სადაც სავსებით საღ-სალამათი და ბედნიერი ჩაიკოვსკი მეგობრებთან ერთად მივიდა. ვახშმობისას მან ჭიქა ცივი წყალი მოითხოვა, რომელსაც, რატომღაც, ხშირად ნატიფ კერძებს აყოლებდა ხოლმე. ოფიციანტმა წყალი მიუტანა და, მეგობრების ხმაურიანი პროტესტის მიუხედავად, რომლებიც გაჩენილი ქოლერის შესახებ აფრთხილებდნენ, ჭიქა ერთი ამოსუნთქვით დალია.

მეორე დილით პეტრე ჩაიკოვსკის კუჭის არეში არასასიამოვნო შეგრძნება გაუჩნდა და სასაქმებელი წამალი მიიღო. შეშფოთებულმა ოჯახის წევრებმა ექიმის გამოძახება დააპირეს, მაგრამ კომპოზიტორი უარზე დადგა. დღის მეორე ნახევარში მას პირღებინება დაეწყო, კუჭი საშინლად აეშალა და სისუსტე დაეუფლა. დაუძახეს ვიღაც ექიმს, რომელმაც თქვა, რომ ეს მსუბუქი მოწამვლა იყო, კუჭის შემკვრელი წამალი გამოწერა, ჰონორარი მიითვალა და წავიდა.

არადა ავადმყოფი იმდენად დამძიმდა, რომ ჩაიკოვსკის საოჯახო ექიმს ვ. ბერტენსონს დაუძახეს. მან ვერ გაიგო რა სნეულება შეეყარა კომპოზიტორს და თავისი ძმა, უფრო გამოცდილი ექიმი გამოიძახა. ამ დროისთვის პეტრე ჩაიკოვსკი ტკივილისგან უკვე ყვიროდა.

ახალმა ექიმმა მალევე „აზიური ქოლერის“ დიაგნოზი დასვა და მკურნალობა დაიწყო, თუმცა კი წარმატების იმედი ნაკლებად ჰქონდა, ვინაიდან დრო დაკარგული იყო. ავადმყოფს ცხელ ოყნებს უყენებდნენ, ტკივილის გასაყუჩებლად ვერცხლისწყლის, ბისმუტისა და ოპიუმის პრეპარატებს უკეთებდნენ, რამდენიმე კაცი სხეულს გამუდმებით უზელავდა. იმისათვის, რომ გულს შეუჩერებლად ემუშავა, კამფარას უკეთებდნენ, მაგრამ მისი შველა აღარ შეიძლებოდა.

გვიან ღამე კომპოზიტორს ძლიერი კრუნჩხვები დაეწყო, ტუჩები გაულურჯდა, მერე თირკმლებმაც უღალატა. ამიტომ კიდევ ერთ ექიმს დაუძახეს, მერე მეორეს... კონსილიუმის შემდეგ მედიკოსებმა იმ დროისთვის მიღებული უკანასკნელი, მეტად ეფექტიანი საშუალების გამოყენება – ავადმყოფის ცხელ აბაზანაში ჩაწვენა გადაწყვიტეს. მაგრამ ამას წინ აღუდგნენ პეტრე ჩაიკოვსკის ნათესავები, რის მიზეზი ის იყო, რომ კომპოზიტორის დედაც ქოლერისგან სწორედ იმ დროს გარდაიცვალა, როცა იგი თბილ აბაზანაში ჩააწვინეს.

ექიმებმა მაინც თავისი გაიტანეს, მაგრამ როგორც კი კომპოზიტორი აბაზანაში ჩააწვინეს, იგი გონს მოვიდა და მისთვის მშვიდად სიკვდილის საშუალების მიცემა ითხოვა.

დიდი პეტრე ჩაიკოვსკი 23 სექტემბერს გარდაიცვალა ორი ღვიძლი ძმის ხელში. სანიტარიული სამსახურის მოთხოვნით იგი დახურული კუბოთი დაკრძალეს, მთელი ხარჯი კი სახელმწიფომ გასწია. ბოლო გზაზე გენიოსი უამრავმა თაყვანისმცემელმა გააცილა.

თანამედროვე მიდგომა

ქოლერაზე ოდნავი ეჭვის შემთხვევაშიც კი ავადმყოფს საავადმყოფოში აწვენენ. გაუწყლოების სიმპტომების გაჩენისას მას მარილიანი ხსნარების საწვეთებელს უყენებენ. თუკი მას ყლაპვა შეუძლია, ყოველ საათში ერთ ლიტრზე არანაკლებ წყალს ალევინებენ. პარალელურად მიმდინარეობს ანტიბიოტიკებით მკურნალობა. სასურველია მოხმარებული ანტიბიოტიკებისადმი სნეულების გამომწვევი ვირუსების მგრძნობიარობის შემოწმება და, საჭიროების შემთხვევაში, პრეპარატების ცვლა. კარგი შედეგი მოაქვს ავადმყოფობის პირველსავე საათებში ქოლერული ბაქტერიოფაგის შეყვანა, რომელიც ქოლერის ბაქტერიებს შლის. დროული და სწორი მკურნალობის შემთხვევაში პროგნოზი სასიკეთოა.

მოამზადა ნინო ალექსანდრიამ

განცხადება აუქციონის ჩატარების შესახებ

სს „ელმავალმშენებელი” 2016 წლის 01 ნოემბრიდან აცხადებს აუქციონს სხვადასხვა სახის ფერადი ლითონის ჯართის რეალიზაციის შესახებ.

ლოტი №1 – სპილენძის ჯართი:

სუფთა ჯართი – სავარაუდოდ 9235კგ.±30% - საწყისი სააუქციონო ფასი შეადგენს 36247.38 აშშ დოლარს (ექვივალენტი ლარში) დ.დ.გ.-ს გარეშე;

კოლექტორების ჯართი – სავარაუდოდ 4100კგ.±30% - საწყისი სააუქციონო ფასი 11%-იანი დანაკარგის გათვალისწინებით შეადგენს 14322.53 აშშ დოლარს (ექვივალენტი ლარში) დ.დ.გ.-ს გარეშე;

გრაგნილების და კოჭების ჯართი – სავარაუდოდ 7248კგ.±30% - საწყისი სააუქციონო ფასი 18%-იანი დანაკარგის გათვალისწინებით შეადგენს 23327.69 აშშ დოლარს (ექვივალენტი ლარში) დ.დ.გ.-ს გარეშე;

მაღალი ძაბვის სადენების ჯართი – სავარაუდოდ 3192კგ.±30% - საწყისი სააუქციონო ფასი 43%-იანი დანაკარგის გათვალისწინებით შეადგენს 7141.46 აშშ დოლარს (ექვივალენტი ლარში) დ.დ.გ.-ს გარეშე;

დაბალი ძაბვის სადენების ჯართი – სავარაუდოდ 2362კგ.±30% - საწყისი სააუქციონო ფასი 60%-იანი დანაკარგის გათვალისწინებით შეადგენს 3708.34 აშშ დოლარს (ექვივალენტი ლარში) დ.დ.გ.-ს გარეშე;

ლოტზე ვაჭრობის ბიჯი – 10 ცენტი 1 კილოგრამ ჯართზე.

აუქციონში მონაწილეობის მიღება შეუძლია ყველა ფიზიკურ და იურიდიულ პირს.

აუქციონში მონაწილეობის მისაღებად ყველა მსურველმა უნდა გადაიხადოს “ბე” ლოტის ღირებულების 10%-ის ოდენობით (ექვივალენტი ლარში) დ.დ.გ.-ს ჩათვლით შემდეგ რეკვიზიტებზე:

USD-Account: Intermediary Bank: Citibank N.A., New York, USA; SWIFT: CITIUS33, Account With Institution: Bank of Georgia, SWIFT: BAGAGE22; 3, Pushkin Street, 0105 Tbilisi, Georgia, Beneficiary: JSC ELMAVALMSHENEBELI, Account: GE59BG0000000298256900.

GEL-Account: სააქციო საზოგადოება “საქართველოს ბანკი” ბანკის კოდი: BAGAGE22, სს „ელმავალმშენებელი”, მიმღების ანგარიშის ნომერი GE59BG0000000298256900.

დოლარის ლარში გაანგარიშება მოხდება აუქციონის ჩატარების დღეს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ოფიციალური გაცვლითი კურსის შესაბამისად.

წაგების შემთხვევაში “ბე” მონაწილეს დაუბრუნდება უკან. ლოტში კონკურენტის გარეშე მონაწილე პრეტენდენტი ავტომატურად გამოცხადდება გამარჯვებულად.

მყიდველი ვალდებულია აუქციონის ჩატარებიდან 3 (სამი) საბანკო დღის ვადაში გადაიხადოს მის მიერ აუქციონზე მოგებული საქონლის საბოლოო გასაყიდი მთლიანი ღირებულება, წინააღმდეგ შემთხვევაში მას არ მიეცემა საქონელზე საკუთრების უფლება და „ბე” არ დაუბრუნდება.

აუქციონში მოგებული ლოტი №1 განსაზღვრული ჯართის გადაწონვა განხორციელდება სს „ელმავალმშენებელის” ელექტრონულ სასწორზე.

აუქციონში გამარჯვებული პრეტენდენტი ვალდებულია თავისი ხარჯებით უზრუნველყოს მოგებული საქონლის ტრანსპორტირებისათვის ტრანსპორტის დაქირავება.

სხვა კონკრეტული დეტალები დაზუსტებული იქნება პრეტენდენტთან გასაფორმებელ ორმხრივ ხელშეკრულებაში.

ინფორმაცია აუქციონის ჩატარების შესახებ:

აუქციონში მონაწილეობის მსურველთა განცხადებები მიიღება ყოველდღე უქმი დღეების გარდა, 10^{00} – დან 15^{00} – საათამდე. (ქ.თბილისი გურამიშვილის გამზირი 84, ადმინისტრაციული შენობის II სართული, ოთახი №216).

აუქციონი გაიმართება 2016 წლის 04 ნოემბერს 12^{00} საათზე შემდეგ მისამართზე: ქ.თბილისი გურამიშვილის გამზირი 84, ადმინისტრაციული შენობის III სართული.

აუქციონში მონაწილეობისათვის მსურველებმა უნდა წარმოადგინონ შემდეგი დოკუმენტები:

1. განცხადება აუქციონში მონაწილეობის შესახებ (მონაწილეზე სრული ინფორმაციის გათვალისწინებით: მისამართი, საკონტაქტო ტელეფონი).
2. „ბე”-ს გადახდის დამადასტურებელი საბანკო ქვითარი (დედანი).
3. პირადობის მოწმობის ქსეროასლი.
4. ნოტარიულად დამოწმებული მინდობილობა თუ იგი მოქმედებს სხვისი სახელით.
5. იურიდიულმა პირებმა დამატებით წარმოადგინონ განახლებული ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან.

გამარჯვებულის გამოვლენის კრიტერიუმები:

აუქციონში გამარჯვებულის გამოვლენის კრიტერიუმია ყველაზე მაღალი ფასის დასახელება (არანაკლებ საწყისი გასაყიდი ფასისა).

აუქციონის შესახებ ინფორმაციის მიღება შესაძლებელია:

ვებ-გვერდი: www.gjmf.ge; ტელ. 5 77 48 86 86,5 93 922 802, 5 77 003 707

სს “ელმავალმშენებელის” მუდმივმოქმედი სააუქციონო და საკონკურსო კომისია.

◎ ხელბურთი

საქართველო იტალიით იწყებს

ჩვენი ქვეყნის ხელბურთელ ვაჟთა ნაკრები ევროპის 2020 წლის ჩემპიონატის პირველ შესარჩევ ეტაპს ხვალ სირაკუზაში იტალიასთან მატჩით დაიწყებს, 6 ნოემბერს კი აპენინელებს შინ – თბილისის სპორტის სასახლეში უმასპინძლებს. საქართველოს ნაკრები ამ ორთაბრძოლებისთვის ასეთი შემადგენლობით ემზადება: შოთა თევზაძე („რეშიცა“, რუმინეთი), ზურაბ ცინცაძე („პეგასი“), ხაზეინ რუსტამოვი („ქუთაისი“), ზურაბ აბრამიშვილი („ბათუმი“), ლექსო წითელიშვილი („ბათუმი“), თეიმურაზ ორჯონიკიძე („პრილეპი“, მაკედონია), ირაკლი ჩიქოვანი („კელერაში“, რუმინეთი), სერგო დათუკაშვილი („ვოივოდინა“, სერბეთი), გიორგი გვაზავა (სტუ), ზურაბ სიმონია („ქუთაისი“), ირაკლი თევზაძე („სამტრედია“), რატი მსხვილიძე („ურმია“, ირანი), რევაზ ჭანტურია („პელისტერი“, მაკედონია), გიორგი დიხამინჯია („პეგასი“), შოთა გრიშიკაშვილი („ბათუმი“), ერეკლე არსენაშვილი (სტუ), გიორგი მიქავა („იმედი“), მთავარი მწვრთნელი ბექა ორჯონიკიძე, გუნდის უფროსი ჯემალ ბარამიძე.

III ჯგუფის (იტალია, ლუქსემბურგი, საქართველო) პირველი შესარჩევი ეტაპის კალენდარი ასეთია:

2 ნოემბერი, სირაკუზა. იტალია-საქართველო.

6 ნოემბერი, თბილისი, სპორტის სასახლე. საქართველო-იტალია.

4 იანვარი. საქართველო-ლუქსემბურგი.

7 იანვარი. ლუქსემბურგი-საქართველო.

11 იანვარი. ლუქსემბურგი-იტალია.

14 ან 15 იანვარი. იტალია-ლუქსემბურგი.

მომდევნო ეტაპზე მხოლოდ გამარჯვებული გადის.

ლაშა დიდია

◎ ჭადრაკი

კოეფიციენტმა დაალალატა

მერსინში (თურქეთი) დამთავრდა მოჭადრაკეთა საერთაშორისო ტურნირი, რომელშიც საქართველოს შვიდი წარმომადგენელი მონაწილეობდა. სხვებზე უკეთ იასპარეზა საერთაშორისო ოსტატმა ბაჩანა მორჩიაშვილმა, რომელმაც ცხრა შესაძლებლობიდან 6.5 ქულა მოაგროვა და მე-სამე-მეშვიდე ადგილები გაინაწილა. უარესი კოეფიციენტით მას მე-6 ადგილი ერგო. 7.5 ქულით პირველი ადგილი ანტონ დემჩენკომ (რუსეთი) დაიკავა. მას ნახევარი ქულით ჩამორჩა მუსტაფა ილმაზი (თურქეთი), რომელსაც მეორე ადგილი ხვდა. დანარჩენ ქართველთა მაჩვენებლები ასეთია: 8. კონსტანტინე შანავა (6), 10. გიგა ყუფარაძე (6), 17. ნინო ხურციძე (5.5), 18. დავით მაღალაშვილი (5), 23. დავით ლომსაძე (5), 37. არმენ გრიგორიევი (4.5).

თამაზ პატარიძე

◎ წყალბურთი

სამეული – უდანაკარგოდ

2003-2004 წლებში დაბადებულ წყალბურთელთა საქართველოს პირველობის მეორე წრის პირველი ტურის შეხვედრებს „ოლიმპიკმა“ უმასპინძლა. პირველი წრის შემდეგ საუკეთესო ექვსეულში („ივერია“, „არენა“, „ქუთაისი“, „აჭარა“, „რუსთავი“ და „აკადემია“) მოხვედრილი გუნდები A ჯგუფში მედლებისთვის იბრძოლებენ, ხოლო B ჯგუფში VII-IX ადგილებისთვის „დიღომი“, „ლისი“ და „სპექტრი“ თამაშობენ. მეორე წრის პირველი რაუნდის ორთაბრძოლები ასე დასრულდა: „ლისი“-„სპექტრი“ 5:4, „ქუთაისი“ – „აჭარა“ 4:7, „არენა“ – „რუსთავი“ 15:5, „ივერია“ – „აკადემია“ 15:5; „დიღომი“ – „ლისი“ 15:3, „აკადემია“ – „აჭარა“ 5:12, „არენა“ – „ქუთაისი“ 14:2, „ივერია“ – „რუსთავი“ 18:7. ასე რომ, ოთხ-ოთხი ქულით „არენა“, „ივერია“ და „აჭარა“ დაწინაურდნენ.

გივი გაგუა

◎ ჭიდაობა

მედლები სტუმრებსაც ერგოთ

საქართველომ ოლიმპიური რეზერვის მზადების ეროვნულ ცენტრში წლეულს ოცდამეშვიდედ უმასპინძლა ზარიბეგ ბერიაშვილის სახელობის ტურნირს თავისუფალ ჭიდაობაში ჭაბუკთა შორის.

შეჯიბრებაში მასპინძლებთან ერთად სომეხი და აზერბაიჯანელი მოჭიდავეებიც მონაწილეობდნენ. გლდანში სულ მედლებისთვის 260 მოზარდი იბრძოდა.

აზერბაიჯანელებმა 1 ვერცხლისა და 3 ბრინჯაოს მედალი დაიმსახურეს. დაძაბული ორთაბრძოლების შემდეგ კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე ავიდნენ: გიორგი ჭოლაძე (42 კგ, ქუთაისი), გიორგი ხარატიშვილი (46, ლანჩხუთი), ბაჩუკი ქვლივიძე (50, საგარეჯო), გიგი ბლიაძე (54, ხაშური), ლუკა მარიამიძე (58, ომეცი), გიორგი ელბაქიძე (63, ამბროლაური), ბაგრატ გაგნიძე (69, ქუთაისი), გიორგი ჩარქსელიანი (76, ხონი), ედი ბულულაშვილი (85, კასპი), ელგუჯა ბალანჩივაძე (100, სამტრედია).

ლექსო ცინცაძე

◎ პროტესტი

მანჩესტერში აქციებს იწყებენ

ინგლისური „მანჩესტერ იუნაიტედის“ გულშემატკივრებმა გუნდის მთავარი მწვრთნელის ჟოზე მოურინიოს წინააღმდეგ ფართომასშტაბიანი აქცია დაგეგმეს და მის ჩასატარებლად საჭირო თანხის შეგროვება დაიწყეს. ფანებმა ამის შესახებ განცხადება ტვიტერის მეშვეობით გაავრცელეს.

პორტუგალიელი სპეციალისტის შეგირდთა შედეგებით უკმაყოფილო ქომაგები ვერტმფრენის დაქირავებას გეგმავენ, რომელიც თამაშის დროს „ოლდ ტრაფორდს“ გადაუფრენს მოურინიოს გადადგომის მითხოვნით გამოფენილი ბანერით.

„მანჩესტერ იუნაიტედმა“ პრემიერლიგის ბოლო ტურში საკუთარ მოედანზე „ბარნლის“ ვერ აჯობა (0:0) და, საერთოდაც, ჩემპიონატის 10 მატჩიდან მხოლოდ 4 მოიგო, სამჯერ ფრეს დასჯერდა, ამდენჯერვე დამარცხდა და 15 ქულით მერვე ადგილზეა.

გიორგი ზოთაძე



◎ ჩოგბურთი

ციბულკოვამ წლის შემაჯამებელი ტურნირი მოიგო

სინგაპურში გამართული ქალთა წლის შემაჯამებელი ტურნირი სლოვაკი დომინიკა ციბულკოვას გამარჯვებით დასრულა.

ფინალში მან მსოფლიოს ნომერ პირველი ჩოგანი, გერმანელი ანგელიკა კერბერი 6:3, 6:4 დაამარცხა და აღნიშნული ასპარეზობა კარიერაში პირველად მოიგო.

შეხვედრა საათსა და 18 წუთს გაგრძელდა. კერბერმა 23 უნებლიე შეცდომა დაუშვა, ხოლო ციბულკოვამ – 14. სლოვაკმა 5 შესაძლებლობიდან 3 ბრეიკი გააკეთა, კერბერმა კი – 4-დან მხოლოდ ერთი.

ამ ტურნირზე კერბერი და ციბულკოვა ერთ ჯგუფში იყვნენ და მაშინ გერმანელმა 7:6, 2:6, 6:3 იმარჯვა.

კობა კობახიძე

◎ კალათბურთი



„სან ანტონიოს“ მეოთხე გამარჯვება

გუშინ გამთენიისას ნაციონალური საკალათბურთო ასოციაციის შვიდი შეხვედრა გაიმართა.

„სან ანტონიომ“ ზედიზედ მეოთხე მატჩი მოიგო – ამჯერად ტეხასელებმა გასვლაზე „მაიამი“ 106:99 დაამარცხეს. „სან ანტონიოში“ ტრადიციულად 27 ქულით კავაი ლეონარდი გამოირჩა, გასოლმა ორმაგი დუბლი შეასრულა – 20 ქულა და 11 მოხსნა, „მაიამიში“ კი 27 ქულით და 15 მოხსნით საუკეთესო იყო უაიტსაიდი.

„მემფისმა“ შინ „ვაშინგტონი“ 112:103 დაამარცხა. მატჩის ძირითადი დროის დასრულებამდე 15 წამით ადრე დედაქალაქელები 100:97 იგებდნენ, თუმცა, „დათვების“ ცენტრმა მარკ გასოლმა სამქულიანი ჩააგდო და შეხვედრა ოვერტაიმში გადაიყვანა, სადაც „მემფისმა“ უკეთ ითამაშა. მასპინძლებს 24 ქულით და 11 პასით მაიკლ კონლიმ ულიდერა, ხოლო „ვაშინგტონში“ 22 ქულით ჯონ უოლი გამოირჩა.

◎ პირველად საქართველოში

„ვეფხისტყაოსანი“ გრაფიკული რომანის სახით გამოიცა

თიბისი გალერეაში პაპუნა დავითაიას წიგნის „ვეფხისტყაოსანი — გრაფიკული რომანი“ პრეზენტაცია გაიმართა.

„ვეფხისტყაოსანი — გრაფიკული რომანი“ პირველი ქართული გრაფიკული რომანია, რომელიც წიგნის სიუჟეტს 1500-მდე ილუსტრაციით და მინიმალისტური, თანამედროვე ტექსტით გვიყვება.

„ვეფხისტყაოსანი“ პაპუნა დავითაიას და გამომცემლობა „არტანუჯის“ პირველი ერთობლივი პროექტია, რომლის შემდეგ სხვა ქართველი კლასიკოსების ნაწარმოებების გრაფიკული ვერსიების შექმნაც იგეგმება.

სცენარის ავტორი და პროექტის სამხატვრო ხელმძღვანელი, კინომეწარმე და მხატვარი პაპუნა დავითაია რამდენიმე ანიმაციური და მხატვრული ფილმის რეჟისორი და პროდიუსერია. დამთავრებული აქვს თბილისის კინოსტუდიის ანიმაციის სკოლა და ნიურნბერგის სამხატვრო აკადემიის ფერწერის ფაკულტეტი. უკანასკნელი სამის წლის განმავლობაში ლოს ანჯელესში შეისწავლა გრაფიკული რომანის შექმნის ხელოვნება.

გრაფიკული რომანი ამერიკაში 1930-იან წლებში წარმოიშვა, როგორც „კომიქსის“ ერთ-ერთი მიმართულება და დღემდე დიდი პოპულარობით სარგებლობს. მისი იაპონური ვერსია „მანგა“ იაპონიაში 1950-იანი წლებიდან იწარმოება, ხოლო ევროპამ გრაფიკული რომანების წარმოება უფრო მოგვიანებით, 1970-იან წლებში დაიწყო.

„საქართველოში გრაფიკული რომანი არ არის ფართოდ გავრცელებული და პოპულარული, თუმცა სადაო არ არის, რომ ბავშვებისთვის, შინაარსზე მეტი კონცენტრაციისა და უკეთ აღქმისათვის, გრაფიკული რომანი ძალიან სახალისო და საჭირო ჟანრია. ვფიქრობ, ამ ფორმით ჩვენი ბავშვები „ვეფხისტყაოსნის“ უკეთ გაგებას შეძლებენ და შემდეგ უკვე პოეზიასთან ზიარებით გაიღრმავებენ მის სიყვარულს,“ — ამბობს პაპუნა დავითაია.

წიგნის პრეზენტაციის პარალელურად, თიბისი გალერეაში პაპუნა დავითაიას მიერ სხვადასხვა დროს, სხვადასხვა თემაზე შექმნილი ფერწერული ტილოებიც გამოიფინა.

◎ ღვინის ექსპორტი

საქციზო გადასახადის ზრდის ფარული ზამბარები

ბოლო წლების მანძილზე ევროპისა და ამერიკის შეერთებული შტატების, ასევე ჩინეთის უზარმაზარ ბაზრებზე მოპოვებული წარმატებების პარალელურად, ქართული ღვინისთვის ოდითგანვე ტრადიციული რუსეთული ბაზრის მნიშვნელობაზე ლაპარაკი, ვფიქრობთ, სრულიად ზედმეტია. ამასთან, მეტად სასიხარულოა ისიც, რომ, ისევე, როგორც სხვაგან, ბოლო დროს სამამულო წარმოების სხვადასხვა სახეობის ღვინის ექსპორტი რუსეთშიც იზრდებოდა. ამის მიზეზი, უწინარესად, რუსეთელი დისტრიბუტორებისთვის ჩვენი ღვინის დიდი თუ მცირე მწარმოებლების მიერ მიწოდებული პროდუქციის მაღალი ხარისხი, ასევე რუსეთში იმპორტულ ალკოჰოლიან სასმელზე სააქციზო გადასახადის დაბალი თამასა იყო. უახლოეს მომავალში კი, როგორც ჩანს, მდგომარეობა შესაძლოა, საგრძნობლად შეიცვალოს, რაც იმასთანაა დაკავშირებული, რომ საქციზო გადასახადი ორმაგდება, თუმცა კი ახალი განაკვეთის შემოღების ზუსტი თარიღი ჯერჯერობით ზუსტად დადგენილი არ არის.

არსებული ინფორმაციით, რუსეთში ღვინოზე აქციზური გადასახადის გაორმაგებასთან ერთად თამბაქოს ნაწარმზე აქციზის ინდექსაცია 2017-2019 წლების საგადასახადო სტრატეგიის მდგენელი კომპანიებია. სააქციზო გადასახადმა ხილისა და ცქრიალა (ანუ „შამპანური“) ღვინოების გარდა, ყველა სახეობის ღვინოზე უნდა მოიმატოს.

რაც შეეხება ფულად გამოხატულებას, **ერთ ლიტრ ჩვეულებრივ ღვინოზე აქციზი 9-დან 18 რუბლამდე მოიმატებს, დაცული გეოგრაფიული სახელებით რუსეთში წარმოებულზე — 5-დან 10 რუბლამდე.**

სავსებით ცხადია, რომ სააქციზო გადასახადის 100-პროცენტიანი ზრდა თავად რუსეთელ ღვინის მწარმოებლებსაც არ აძლევთ ხელს, ვინაიდან პროდუქციას გაუძვირებს, რაც, უწინარესად, შემოსავალზე აისახება, მაგრამ გაცილებით მეტად ღვინის ექსპორტიორებს დააზარალებს. ალკოჰოლიან სასმელებზე, კერძოდ, ღვინოზე და თამბაქოს ნაწარმზე რუსეთის ფინანსთა სამინისტროს სტრატეგიის არსი, ვთქვათ, გასაგებია, თუმცა კი **ყურადღებას იპყრობს ახალი საგადასახადო პოლიტიკის ერთგვარად ღვინის მიმართულებით „დაწოლა“. საქმე ისაა, ღვინოზე აქციზის გაორმაგების პარალელურად, თამბაქოს ნაწარმზე აქციზი მხოლოდ... 10 პროცენტით მოიმატებს,** კერძოდ, 100 ღერ სიგარეტზე 1,56 რუბლი იქნება, თუმცა ესეც საკმაოდ დიდი მატებაა: წინასწარი მონაცემებით ერთი კოლოფი სიგარეტის ფასი 20 რუბლით გაიზრდება.

ბუნებრივია, გარედან საკმაოდ ძნელია უცხო ქვეყნის მთავრობის ახალი სააქციზო განაკვეთის თაობაზე მსჯელობა, მაგრამ რუსეთში იაფიანი არყის მასობრივი წარმოების ფართომასშტაბიანი აღორძინების შესახებ იქაურ მასმედიაში გაჟღერებული ინფორმაციით თუ ვიმსჯელებთ, რომ იტყვიან, „ძაღლის თავიც სწორედ აქ უნდა იყოს დამარხული“.

არც ის მეტად მნიშვნელოვანი გარემოება უნდა გამოგვრჩეს თვალთახედვიდან, რომ ყირიმის მიერთების შემდეგ რუსეთს სამხრეთული ღვინოების ასორტიმენტიც გაეზარდა და ოდენობაც, საკუთარ მწარმოებელთა ინტერესებზე ზრუნვა კი, მოგეხსენებათ, ყველა მთავრობის მოღვაწეობის პრიორიტეტია.

ესეც ახალი სააქციზო სტრატეგიის მამოძრავებელი კიდევ ერთი არცთუ საიდუმლო „ზამბარა“ უნდა იყოს.

სააქციზო გადასახადის ასეთი მნიშვნელოვანი მატება, ცხადია, რუსეთში ქართული ღვინის ექსპორტზეც აისახება და, იმის მიუხედავად, რომ ამ სფეროში მოღვაწე სამამულო კომპანიებისთვის ამასთან დაკავშირებით ცნობა მეტად არასასიამოვნო სიურპრიზი იყო, რაც, უწინარესად, წარმოების მასშტაბის შემცირების ერთგვაროვანი ხელშემწყობი პირობაა, მისდამი დამოკიდებულება მაინც ერთგვაროვანი არ არის. ზოგიერთი მათგანის აზრით, რუსეთში სააქციზო გადასახადის გაზრდა ჩვენი პროდუქციის ექსპორტზე მაინცდამაინც დიდ ზეგავლენას არ იქონიებს, ამდენად, არც წარმოების მოცულობაზე აისახება და, უმთავრესად, სადისტრიბუციო კომპანიების პრობლემა უფროა, რომელთაც, სავარაუდოდ, მოგების მარაჟის შემცირება მოუწევთ.

სხვები ფიქრობენ, რომ დასავლეთის მიერ რუსეთის მიმართ დაწესებული სანქციები იქაური მოსახლეობის მატერიალურ ყოფაზე საკმაოდ მძიმედ აისახება, ამდენად უცხოური ღვინის ფასის ზრდა ლოგიკურად მისი მოხმარების დონეს შეამცირებს.

არადა, ბოლო ხანებში ქართული ღვინის ექსპორტი აშკარად აღმავლობის გზაზე იყო: ღვინის ეროვნული სააგენტოს ცნობით, წლეულს შემოდგომის დამდეგისთვის, მსოფლიოს 46 ქვეყანაში, 0,7 ლიტრის ტევადობის, 28,15 მილიონზე მეტი ბოთლი სხვადასხვა დასახელების ღვინო გაიტანეს, ეს კი შარშანდელ ანალოგიურ მაჩვენებელს 42 პროცენტით აღემატება, ხოლო მისი ღირებულება დაახლოებით 65 მილიონი დოლარია. ამასთან, საგულისხმოა, რომ საქართველოდან ღვინის უდიდეს ექსპორტიორთა ნუსხაში, **რუსეთი** ლიდერია (14, 64 მილიონი ბოთლი), მას შემდეგ მოდიან **ჩინეთი** (3,7 მილიონი ბოთლი), **უკრაინა** (3 მილიონზე მეტი ბოთლი), **ყაზახეთი** (2,3 მილიონი ბოთლი) და **პოლონეთი** (1,4 მილიონი ბოთლი).

ოთარ ტურაბელიძე

სანთელი

უახლოესი მეგობრები ანზორ ახვლედიანი, თემურ გიორგობიანი, ოთარ ცინცაძე, ოთარ ბრეგვაძე, ივა ბერაძე, გია მათეშვილი, გურამ კაკულია, უშანგი ვარდიაშვილი, ვოვა მარტინოვი, შედანი ნანიკაშვილი, ელიზბარ ლომინაძე, მერაბ გიორგაძე, ვახტანგ ვეფხვაძე, ფერდინარდ ლორთქიფანიძე, თამაზ გოგავა, ბონდო ნიბლაძე ოჯახებით იუწყებიან უაღრესად კეთილშობილი, პატიოსანი, ჭეშმარიტი ქართველი კაცის

დათო ბოჭორიშვილის

გარდაცვალებას და თანაგრძნობას უცხადებენ განსვენებულის ოჯახსა და ახლობლებს. დაკრძალვა 29 X. ქ. სოჭი.

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია, აკადემიის მათემატიკისა და ფიზიკის განყოფილება ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა ცნობილი ფიზიკოსი, მ. ლომონოსოვის სახელობის მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტის კვანტური სტატისტიკისა და ველის თეორიის კათედრის პროფესორი, ლენინური პრემიის ლაურეატი, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის წევრ-კორესპონდენტი

მირიან მესტვირიშვილი

და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

ექვთიმე თაყაიშვილის სახელობის საქართველოს საისტორიო საზოგადოება ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა ხელოვნებათმცოდნეობის მეცნიერებათა დოქტორი, საქართველოს შუა საუკუნეების ხუროთმოძღვრებისა და ჭედური ხელოვნების თვალსაჩინო მკვლევარი, წლების მანძილზე გ. ჩუბინაშვილის სახელობის ქართული ხელოვნების ისტორიის ინსტიტუტის ამაგდარი ხელმძღვანელი, ნათელი პიროვნება

თემურ საყვარელიძე

და თანაუგრძნობს განსვენებულის ოჯახს.

ქ. თბილისში მცხოვრები ფოთელების საზოგადოების გამგეობა იუწყება, რომ გარდაიცვალა საზოგადოების უხუცესი წევრი, მათემატიკის გამოჩენილი პედაგოგი, რესპუბლიკის დამსახურებული მასწავლებელი, დიდი სამამულო ომის მონაწილე, ქალაქ ფოთის საპატიო მოქალაქე, თბილისში კომაროვის სახელობის მათემატიკური სკოლის ყოფილი დირექტორი

აკაკი ცხადაია

და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სამთო-გეოლოგიური ფაკულტეტი, ტყიბულის სამთო ტექნოლოგიური ინსტიტუტი, შპს „საქნახშირი“ (ჯი-აი-ჯი ჯგუფი), საქართველოს სამთო საზოგადოება, გრ. წულუკიძის სამთო ინსტიტუტი ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა ცნობილი სამთოელი, მრავალი წლის განმავლობაში ტყიბულის სხვადასხვა შახტის ხელმძღვანელი, მრავალი სამთავრობო ჯილდოს ლაურეატი, რესპუბლიკის დამსახურებული ინჟინერი, სამთოელთა ახალგაზრდა თაობების აღმზრდელი

გიორგი (ჟორა) იოველის ძე წაქაძე

და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს და ახლობლებს.

აკად. კ. ჩაჩავას მრავალპროფილიანი კლინიკა, საქართველოს მეან-გინეკოლოგთა და პერინატოლოგთა ასოციაცია, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის მეანობა-გინეკოლოგიის დეპარტამენტი ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ კლინიკის გენერალური დირექტორის პირველ მოადგილეს, პროფესორ ნატა ყაზახაშვილს გარდაეცვალა ძმა

სერგო ყაზახაშვილი

და თანაგრძნობას უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

გაანადგურეს უკანონო ბრუნვიდან ამოღებული ნარკოტიკები

შინაგან საქმეთა მინისტრის ბრძანების საფუძველზე შექმნილმა მუდმივმოქმედმა კომისიამ საქართველოს მასშტაბით სხვადასხვა დროს ჩატარებული საგამოძიებო ღონისძიებების შედეგად უკანონო ბრუნვიდან ამოღებული, სხვადასხვა სახეობის ნარკოტიკული საშუალებები: 1037 აბი „სუბუტექსი“, 355 გრ ჰეროინი, 3 კილო და 600 გრამი კოკაინი, 4 კილოგრამი მარიხუანა, ასევე, ფსიქოტროპული და ახალი ფსიქოაქტიური ნივთიერებები უახლესი ტექნოლოგიით, მაღალტემპერატურულ ღუმელში გაანადგურა.

სამართალდამცველები ნარკოტიკულ და ფსიქოაქტიურ საშუალებებს, სასამართლოს შესაბამისი განაჩენის შემდეგ, 3 თვეში ერთხელ ანადგურებენ.

ნარკოტიკების განადგურების პროცესს, შსს-ს თანამშრომლებთან ერთად, მთავარი პროკურატურის და შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის წარმომადგენლებიც დაესწრნენ.

მსოფლიოს სიახლენი

არაბი მილიარდერის ოცნება

არაბ მილიარდელს WhatsApp-ის არაბული კონკურენტის შექმნა სურს. **მუჰამედ ალაბარმა, რომელიც დუბაიში საკმაოდ ცნობილი და წარმატებული ბიზნესმენია, განაცხადა, რომ სურს შექმნას შეტყობინებების გაცვლის სერვისი შექმნას, რომელიც ახლო აღმოსავლეთის ქვეყნებზე იქნება გათვლილი.**

უნდა აღინიშნოს, რომ ქუვეითი, საუდის არაბეთი და არაბეთის გაერთიანებული საემიროები მობილური ტელეფონების რიცხოვნობით მსოფლიოში პირველ ადგილზე არიან. ასევე ახლო აღმოსავლეთის ახალგაზრდობა საკმაოდ კარგადაა ჩახედული ახალ ტექნოლოგიებში.

მაგალითისთვის საუდის არაბეთი Youtube-ს ყველაზე დიდი მომხმარებელია.

ამ დროისათვის არაბულ ქვეყნებში ყველაზე პოპულარული მესენჯერი Telegram-ია.

„ავღანელი მონა ლიზა“ თავდებით გაათავისუფლეს

პაკისტანის შინაგან საქმეთა სამინისტროს განკარგულებით, **შარბათ გულა** პატიმრობიდან **თავდებით გაათავისუფლეს.** „ავღანელ მონა ლიზად“ წოდებული ქალბატონი პოლიციამ გასულ კვირას დააკავა. მას საბუთების გაყალბებაში დასდეს ბრალი. მსოფლიომ შარბათ გულა 1985 წელს გაიცნო, მას შემდეგ, რაც 12 წლის გოგონა ნეიშენალ ჯეოგრაფიკის ფოტოკორესპონდენტმა სტივ მაკარიმ ის პეშევარში, ავღანელ ლტოლვილთა ბანაკში გადაიღო. ფოტოგრაფი 17 წლის განმავლობაში უშედეგოდ ცდილობდა გოგონას ვინაობის დადგენას. 2002 წლის იანვარში ნეიშენალ ჯეოგრაფიკის გუნდმა გულა მაინც მოძებნა. შარბათი ახლა 42 წლისაა, გათხოვილია და 3 შვილი ჰყავს.

ASTON MARTIN-ი მაიამიში იალქნის მსგავს ცათამბჯენს ააშენებს

ელიტარული ავტომობილების მწარმოებელი Aston Martin **ცათამბჯენს ააშენებს, რომელსაც იალქნის ფორმა ექნება. ცათამბჯენი მაიამიში განთავსდება და ის 66-სართულიანი იქნება.. შენობის დიზაინი სტუდია** Revuelta Architecture-მა **და** Bodas Mian Anger-მა **შეიმუშავა.**

აღნიშნული პროექტი Aston Martin-ისათვის იქნება პირველი, რითაც ის უძრავი ქონების ბაზარზე შევა.

აღსანიშნავია, რომ ადრე გავრცელებული ინფორმაციის მიხედვით, Aston Martin-ი ლარნაკის მსგავსი ცათამბჯენის მშენებლობას გეგმავდა.

ანეკდოტები

გეომეტრიის გაკვეთილზე მასწავლებელი მიმართავს კლასს:

— ახლა მე თქვენ დაგიმტკიცებთ პითაგორას თეორემას.

უკანა მერხიდან გოგია იწევს ხელს:

— არ გვინდა, მასწ! გვჯერა კაი ბიჭის სიტყვა!..

* * *

სოფლის სკოლის ისტორიის მასწავლებელმა, რომლის მოსწავლეები გაზაფხულსა და შემოდგომაზე მის საკარმიდამო ნაკვეთში დილიდან საღამომდე მუშაობდნენ, დიდ დასვენებაზე ბავშვები კლასიდან გაყარა და ყველა სახელმძღვანელოდან ბატონყმობის გაუქმების შესახებ პარაგრაფი ამოხია.

* * *

ერთ დღესაც ჩვენი ფოსტალიონის გაღადავება გადავწყვიტე და კართან დედიშობილა მივედი.

სიმართლე გითხრათ, ახლაც ვერ გამიგია რამ გააოგნა და ჭკუაზე რამ გადაიყვანა — იმან, რომ მთლად ტიტველი ვიყავი თუ მისი მისამართი საიდან გავიგე...

* * *

ყველაზე დიდ საშიშროებას საზოგადოებრივ ტრანსპორტში წარმოადგენენ არა ბილეთების კონტროლიორები, არა გადამთვრალი ხულიგნები ან ჯიბის ქურდები, არამედ მეხუთეკლასელი მოსწავლეები, რომლებიც საცირკო წარმოდგენიდან ბრუნდებიან.

მოდი, მამა გენაცვალოს, მოდი ჩემთან!

მუდამ მაძიებელი მეცნიერები უამრავ რამეს იკვლევენ, ზოგჯერ ისეთსაც, რაზეც სხვა, შეიძლება, მთელი სიცოცხლის მანძილზეც არ დაფიქრდეს.

მაგალითად, ახლახან მკვლევარებმა შეამოწმეს, თუ როგორ უვლიან მამაკაცები ბავშვებს მსოფლიოს 15 ქვეყანაში. აღმოჩნდა, რომ თავიანთ მოვალეობას ყველაზე დიდი ხნის განმავლობაში (ყოველ საათში 39 წუთს) პატარებთან **პორტუგალიელები** ურთიერთობენ.

მეორე ადგილზე ამ დაუსწრებელ შეჯიბრში გავიდნენ **შვედი, ფრანგი** და **იტალიელი** მამები (30 წუთი). „ბრინჯაოს მედალოსნები“ გახდნენ **ბრიტანელები** და **დანიელები,** თუმცა კი მათი „ბონუსი“ ისაა, რომ ისინი სახლში ცოლებს სხვებზე მეტად ეხმარებიან.

შედეგი - მხოლოდ ორ წელიწადში

მცენარეული საკვების მოხმარება ადამიანს უფრო ბედნიერს ხდის. ბრიტანელმა მეცნიერებმა დაადგინეს, რომ ბედნიერების შეგრძნების ამაღლება შეიძლება კვების დღიურ რაციონში რეკომენდებული ოთხის ნაცვლად, რვა ულუფა ბოსტნეულისა და ხილის შეტანით.

ამასთან, მკვლევარები იმასაც დასძენენ, რომ თავის უმალვე ბედნიერად გრძნობა არ გამოვა — დადებითი შედეგი გაზრდილი დოზით მცენარეული საკვების მიღების დაწყებიდან მხოლოდ ორი წლის შემდეგ იჩენს თავს.

იქნებ „მეზობლებს“ ჩვენთან ურთიერთობა სულაც არ სურთ...

ჯერ კიდევ 1950 წელს დიდი იტალიელი ფიზიკოსი ენრიკო ფერმი კითხულობდა: „თუკი უცხოპლანეტელები მართლაც არსებობენ, მაშინ სად არიან ისინი აქამდე?“ სავსებით მართებული კითხვაა და, იმის მიუხედავად, რომ მათ ჯერჯერობით არ შევხვედრივართ, ასტრონომებს მიაჩნიათ, რომ კაცობრიობა კოსმოსში ეული არ არის.

1961 წელს ამერიკელმა ფიზიკოსმა ფრენკ დრეიკმა ფორმულა გამოიყვანა, რომლითაც სამყაროში ტექნოლოგიური ცივილიზაციის მქონე პლანეტების რიცხვის (№)-ის გამოთვლა შეიძლება. ამ რთული ფორმულის ელემენტებია გალაქტიკაში ვარსკვლავების რაოდენობა, პლანეტური სისტემების მქონე ვარსკვლავებისა და მათზე სიცოცხლისთვის აუცილებელი ფიზიკური პირობების მქონეთა წილი, ასეთ ხელსაყრელ პირობებში სიცოცხლის წარმოშობისა და მისი გონებრივ სტადიამდე განვითარების ალბათობა, ცივილიზაციის აქტიური სიცოცხლისა და გალაქტიკის არსებობის დრო.

ამ ფორმულის თანახმად, გალაქტიკაში რამდენიმე ცივილიზაციის არსებობის ალბათობაა, რომელთაგან ერთი ან ორი სავსებით შესაძლებელია, კაცობრიობის განვითარების დონისა იყოს. მაგრამ, ერთი ისაა, რომ ჩვენ ერთმანეთისგან შეიძლება ძალიან შორს ვართ — მანძილი იქნებ რამდენიმე ათას სინათლის წელს აღემატება, ვარსკვლავთშორისი მოგზაურობა კი ძალიან ძვირი და რთული საქმეა. მეორეც ისაა, რომ გამორიცხული არაა, რომ ჩვენ, შესაძლოა, სხვა ცივილიზაციებს ვუსწრებთ. მესამე: გამორიცხული არ არის, რომ უცხოპლანეტელები დიდი ხანია, ჩვენს შორის არიან და გვაკვირდებიან. მეოთხეც ის არის, რომ თუკი უცხოპლანეტური ცივილიზაციები მართლაც არსებობენ და იციან ჩვენი არსებობის შესახებ, სავსებით შესაძლებელია, რომ... ჩვენთან ურთიერთობა რაღაც მიზეზთა გამო, უბრალოდ, არ სურთ...

განცხადება

იყიდება დიდი დიღმის პირველ მიკრორაიონში, კლინიკა „იმედიდან“ ორასიოდე მეტრში მდებარე მიწის ნაკვეთი, რომელიც კაპიტალური გალავნით არის შემოღობილი და სხვადასხვა სახეობის ასამდე მსხმოიარე ნარგავითაა განაშენიანებული. ყველა კომუნიკაცია (გაზი, დენი, კანალიზაცია) ჭიშკართანაა მიყვანილი, წყალი კი შეყვანილია. ნაკვეთის ფართობია 1250 კვ. მეტრი. შეიძლება ნახევრის ყიდვაც. ფასი — შეთანხმებით. ტელ.: 598 51 81 35; 599 16 81 71; 599 11 19 11.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
სულხან-საბას ქ. №3

მთავარი რედაქტორი
სპარტაკ ძოწულია
293-13-34
599 36-00-35

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი
599 53-76-16;
ალეკო ასლანიშვილი
599 56-81-86;
რუსლან რუსია
599 17-21-21;

პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე
514 33-33-24

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
ტ: 599 79-76-79
შპს „ახალი საუკუნე“
იბეჭდება გამომცემლობა „კოლორში“
რკინიგზის ჩიხი №20

uac(უაკ)070.4(479.22)
ს—323
ISSN 2233-3851
9 772233 385001

ავტორთა საყურადღებოდ!

რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

„საქართველოს რესპუბლიკა“ შენი გაზეთია, აუცილებლად წაიკითხე!

უცხოური ვალუტის კურსი:
აშშ დოლარი - 2.4091; ევრო - 2.6278;
ბრიტანული გირვანქა სტერლინგი - 2.9249;
100 რუბლი - 3.8315; თურქული ლირა - 0.7726;
აზერბაიჯანული მანათი - 1.4359;
1000 სომხური დრამი - 5.0665.

ამინდი 1 ნოემბრისთვის

აღმოსავლეთი საქართველო:		
ბარი -	ღამე +1,	დღე +13
მთიანი რაიონები -	ღამე -3,	დღე +10
დასავლეთი საქართველო:		
ბარი -	ღამე +5,	დღე +13
მთიანი რაიონები -	ღამე -1,	დღე +9
თბილისი:	ღამე +6,	დღე +11

დაგვირეკეთ, მოგვწერეთ:
ტელ: 293-13-34, 599-79-76-79
WWW.SAKRESP.GE